# სახალხო გაზეთი

№ 413 პარასკევი, 30 სექტემბერი, 1911 წ. წელიწადი მეორე. № 413

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ., უკანასკნელზე—10 კაპ. ხაზვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „სორაპან"-ში, მადათოვის კუნძულზე და ეღირება 4 მანეთად.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ე. მეტცლ და ამხ—ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „სახალხო გაზეთის" რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3—მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: სასახლის ქ., დ. ზ. სარაჯიშვილის სახლი, მიხაკელი ეზოდან

ფოსტის ადრესი: [illegible] ლებისთვის და ფულისთვის Тифлисъ, газ. „Сахалхо Газети" п. ящ. 190.

ცალკე ნომერი ყველგან ერთ შაური.

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.

## ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.


მოვაგონებთ ჩვენს ხელის-მომწერთ რომ ყოველ თვის დამდეგიდან გაზეთის გზავნა ესპობათ ყველას ვისაც ხელის ფული არა აქვს შემოტანილი.


## „სახალხო გაზეთი"

სურათებიანი დამატებით

1 ღვინობისთვიდან წლის ბოლომდე

**ღირს 2 მან. 40 კაპ.**

ერთი თვით, როგორც ქალაქში ისე მის გარედ . . . . **80 კაპ.**

ფოსტის ადრესი: ტფილისი, „სახალხო გაზეთი". (п. я. 190)

რედაქცია და კანტორა იმყოფება: სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახლში, შესავალი ეზოდან.

## დ. ყიფიანის ქარხანაში

„სორაპანის" სტამბასა და წიგნის მაღაზიაში მიიღება ხელის მოწერა „სახალხო გაზეთზე". აქვე მიიღება ყოველგვარი განცხადება ამ გაზეთში დასაბეჭდად


რძალი მარიამ დავითის ასული ჯავახიშვილისა და ძმის-წულნი ალექსანდრე, თამარ და ნატალია ილიას ძე და ასულნი ჯავახიშვილნი აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ გარდაიცვალა

## თავადი გრიგოლ ალექსანდრეს ძე ჯავახიშვილი.

დაკრძალვა შაბათს, 1 ოქტომბერს, სოფელ ხოვლეს კარის ეკლესიაში, გამოსვენება დილის 9 საათზე. (2—854—1)

მღვდელი ექვთიმე სიმონის ძე, შვილები დიმიტრი და სიმონ კაკაბაძეები, ასულნი: მატრონა, თეონა, ნინა და ნადეჟდა, რძალი ივდითი და სიძეები: გერასიმე ქიქაძე, ირაკლი რამიშვილი და ივანე ასაჯანოვი, აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ გარდაიცვალა პირველის—საყვარელი მეუღლე, მეორეთა—ძვირფასი დედა და მესამეთა—დაუვიწყარი სიდედრი

## პელაგია ჭყონიას ასული

გამოსვენება და დაკრძალვა შაბათს, 1 ოქტომბერს, დილის 10 საათზე, კუკიის სასაფლაოზე. პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 7 საათზე, გუნიბის შესახვევი, სახლი ნასყიდოვისა, № 18. (2.853.1)

ნინო გიორგის ასული შვილდობიაური, ევა იოსების ასული ამირაჯიბისა, მაკრინე იოსების ასული ჩაიშვილისა, ივანე, დავით, ნიკოლოზ და გიორგი იოსების ძენი ყავრიშვილნი აუწყებენ ნათესავთა და მეგობართ, რომ გარდაიცვალა პირველის—საყვარელი მეუღლე, ხოლო დანარჩენთი—ძვირფასი ძმა

## კონსტანტინე იოსების ძეს ყავრიშვილი.

პანაშვიდები ყოველ დღე, საღამოს 7 საათ., საკუთარ სახლში, მეტეხის ქუჩაზე, № 23; გამოსვენება კალოუბნის ეკლესიაში, 2 ღვინობისთვეს, დილით 9 ნახ. საათზე, დაკრძალავა კუკიის სასაფლაოზე. (2.856.1)

27 სექტემბერს გარდაიცვალა გენერალ-ლეიტენანტის ქვრივი

## კნ. ბარბარე ივანეს ასული თუმანიშვილისა,

რასაც გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ განსვენებულის შვილები და ასულნი. გამოსვენება 30 სექტემბერს, დილის 9 ნახ. საათზე, ნიკოლოზის ტაძარში (ალექსანდრეს ბაღი), დასაფლავება კუკიის წმ. ნინოს სასაფლაოზე. (1.855.1)

ღმად დამწუხარებულნი გიორგი დანიელის ძე და ბარბარე მიხეილის ასული ჭრელაშვილები და თამარა, ლადო და შურა დარჩიები ამით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ უდროოდ გარდაცვალებას ქ. ჟამბლუში (ბელგიაში) პირველი და მეორე—საყვარელ შვილის, მესამე—ძმის, ხოლო უკანასკნელი—ცოლის ძმისა და ბიძის ჟამბლუს პოლიტეხნიკუმის სასოფლო-სამეურნეო განყოფილების პირველი კურსის სტუდენტის

## მათე გიორგის ძის ჭრელაშვილისა.

წირვა და პანაშვიდი გადახდილ იქნება ნიკოლოზის ეკლესიაში (კომერციული სკოლის პირდაპირ) დღეს, პარასკევს, 30 სექტემბერს დილის 10 საათზე. (1—15—1)


### ძმ. ზუბალაშვილების სახალხო სახლი.

დღეს, პარასკევს, 30 ენკენისთვეს,

სახალხო სახლთან არსებულ წარმოდგენების მმართველ წრის მიერ წარმოდგენილი იქნება

**ქრისტინე**, დრამა 4 მოქ. პ. იერეთელისა. (სიუჟეტი აღებულია ე. ნინოშვილის მოთხრობიდან).

მონაწილეობენ: ქ-ნნი ლ. ანტუანეტა, მარ. გოგოლაშვილი, გარმ-გახელი, ფეიქრიშვილი, ევ. წუწუნავა; ბ-ნნი ანაშვილი, ბიაშვილი, გელიკურაშვილი, ნ. გოცირიძე, მ. ინაშვილი, ა. მეტრეველი, მეტეხელი, რ. ხალაყაია, ზვანელი, ვ. ნინიძე, ნარი, ფრონის-პირელი, გ. ხახანაშვილი, შანშიაშვილი, ჭამკვეტაძე, ჭიაურელი, ალ. წუწუნავა. ბილეთები იყიდება თეატრის კასაში დილის 12—2 საათ. და საღ. 6—8 ს. დასაწყ. საღ. 8 ს. ადგილების ფასი 5—50 კ. შემდეგი წარმოდგ. 2 ღვინობისთვეს. ადმინისტრატორი ან ჭიაბერაშვილი. რეჟისორი ალ. წუწუნავა. (1.1497.1)

ტელეფ. № 795. ახალი კლუბი ტელეფ. № 795

1 ოქტომბრიდან კლუბში დაუკრავს

**ვენის ორკესტრი**, 10 კაცისაგან შემდგარი,

ხოლო 15 ოქტომბრიდან სრული

**საკონცერტო-სიმფონიური ორკესტრი**

ს. ი. პრესმანის გამგეობით.

ანონსი: შაბათს, 1 ოქტომბერს, საოჯახო საღამო არ იქნება. ფასი ჩვეულებრივი იქნება. (2.1514.1)

### ძმ. ზუბალაშვილების სახალხო სახლი

კვირას, 2 ღვინობისთვეს,

სახალხო სახლთან არსებულ ქართულ წარმოდგენების მმართველ წრის მიერ გამართული იქნება სალიტერატურო და სამუსიკო საღამო. წარმოდგენ. იქნება

1) **გაცრუებული იმედები.**

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი ს. ანკარა, ლ. ანტუანეტა, მ. ქართველიშვილი, ო. გაბუნია; ბ-ნნი გ. ანაშვილი, დ. ბაქრაძე, ნ. გოცირიძე, *** რ. ხალაყაია, გ. ფრონის-პირელი.

2) **სალიტერატურო და სამუსიკო** განყოფილება. (2.1497.1)

**საბურთალოზე** მშვენიერ ალაგას, ახლად აშენებულ ეკლესიისა და ციდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიყო 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაკვეთებად ოთხ-კუთხ საჟენი 80 კ.-დან. მსურველთ შეუძლიანთ მიმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე თაქთაქიშვილს, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე, საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. (წ.—1147—150)

„სორაპანის" ახალი გამოცემა.

დაიბეჭდა და გამოვიდა გასასყიდად მე-6 წიგნი

## „დრამები და კომედიები".

შედგენილი ვ. აბაშიძის მიერ.

წიგნში მოთავსებულია შემდეგი პიესები:

1. „მსხვერპლი", დრა 3 მოქ., ი. გედევანიშვილისა.
2. „აირია მონასტერი", ფარსი 3 მოქ., გადმოკ. გ. გუნიასი და თ. სახოკიასი.
3. „გაბატონებული მსახური", კომედ. 1 მოქ., ვ. აბაშიძისა.
4. „პარიზელი ბიჭი", კომედ. 2 მოქ., თარგმანი მ. ჯავრჯაძისა.
5. „რეპეტიცია", ხუმ. 1 მოქ. აკაკი წერეთლისა.
6. „დიდ როლს ვთამაშობ", ვოდევ. 1 მოქ., თარგ. ი. ევდოშვილისა.
7. „ცელქები", ხუმ. ვოდევ. 1 მოქმედებ. თარგ. ეფროსინე ნიკოლაძე-ქიქინაძისა.

წიგნი დაბეჭდილია კარგ ქაღალდზე, შეიცავს 352 გვერდს და ღირს 1 მან., გაგზავნით ფოსტით 1 მ. 40 კ.; 1 მ. 90 კ. მშვენიერ ყდაში გაკეთებული კი 1 მ. 50 კაპ. გაგზავნით. წიგნი იყიდება საქართველოს ყველა წიგნის მაღაზიაში. მსურველთ გაეგზავნებათ ფას-დადებითაც.

ვისაც სურს პირდაპირ წიგნის გამოწერა, მან უნდა მიჰმართოს შემდეგის ადრესით: Тифлисъ, типографія „Сорапанъ". (3.1523.2)

„სორაპანის" გამოცემა.

იბეჭდება **1912 წ. კედლის კალენდარი**,

შედგენილი გრ. ჩარკვიანის მიერ.

მიიღება განცხადება კალენდარში დასაბეჭდად. მსურველს შეუძლიან მიჰმართოს „სორაპანის" სტამბაში.

იბეჭდება აგრეთვე **„სახალხო კალენდარი"** ჯიბისა 1912 წ.

შედგენილი მ. გაჩეჩილაძის მიერ.

მიიღება განცხადება კალენდარში დასაბეჭდად. მსურველს შეუძლიან მიჰმართოს „სორაპანის" სტამბაში. (3.1523.2)

## ტფილისის კერძო სამკურნალო

გაფართოებულია და სტაციონალური განყოფილება

მოწყობილია 50 საწოლით.

განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.

ქსენიევის ქუჩა, საკუთარი სახლი, № 7, „ვეტცელის" სასტუმროსთან.

ტელეფონი № 590.

სტაციონალურ ავადმყოფების მიღება შეიძლება ყოველ წამს, მხოლოდ გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი სპეციალისტი-ექიმები შემდეგ დროს:

ექიმი-ქალი ვერბიცკისა-ფირადოვისა ლ. ე.—სამშობიარო და ქალის სნეულ. ყოველ დღე 11—12 ს.

გედევანიშვილი მ. ა. ნერვ. და ელექ., შაბათ., 10½—11 ს.

დეგოიანი რ. ს.—შინაგ. და ნერვებ. ყოველ დღე 1—2 ს.

ზალდასტანიშვილი გ. გ. შინ., სამშ. და ბავ. 10—12 ს.

ქიქოძე ტ. ს. შინაგანი. ორშაბათობით და ოთხშაბ. 9—10 ს.

მანსვეტოვი ვ. მ. შინ., ორშ., ოთხშ., პარასკ. 2—3 ს.

მუსხელიშვილი ვ. ს.—თვალისა, ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ. 2—2½ საათ.,

მზარეულოვი მ. ი.—კანისა და ვენერ. ყოველ დღე, 1—1½ ს.

მელიქიშვილი. ნ. მ. ქირურ. და დედაკაც. ყოველ დღე 10—12 ს.

მიქელაძე შ. ა.—შინაგან და ბავშვ. ყოველ-დღე 12½—1 ს.

თრეშჩინსკაია ნ. ს.—ყურისა, ყელისა და ცხვირისა. ყოველ დღე 12—1 ს.

ფირადოვი რ. ბ. ქირურ. ცისტოსკოპია და საშარდე მილების კატეტერ. ყოველ დღე 12—1 ს.

სოხოლევსკაია ვ. ვ. ქირურ., ყოველ დღე, 9—11 ს.

სუდაკოვი ა. ი. სამშობიარო და ქალის 12—1 ს.

თიკანაძე ი. ე.—ქალის სს. და სამშობიარ., ყოველ დღე 1—2 ს.

ფედოროვი ე. გ.—შინაგ. და ბავშვ. ყოველ დღე გარდა, კვირისა და ოთხშაბათისა 12—1 ს.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი **წამლობა „606"-ით** Ehrlich-hata) აქვს აგრეთვე საკუთარი მიკროქიმიურ და ბაქტერიოლოგიური ლაბორატორია, რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი.

რჩევა ღირს 50 კაპ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაც., კონსულტაც., ელექტრონით წამ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შედავათ. საფასურით. (ტ.—1089—572)

**ექიმი** ქალი კბილისა ოლ. ელიზბარიშვილი-ბანტურიასი ღებულობს ავადმყოფებს ყოველ-დღე დილის 9—2 ს. და საღამოს 4—7 ს.; კვირა-უქმ. მხოლოდ დილის 9—12 საათამდე.

ვერა, ბელინსკის ქ., № 15, სახლი ელიზბაროვისა. (თ.—1451—40)

**ექიმი** ი. მ ა შ ა კ ი ძ ე იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. ბაქოს ქუჩა N 12 (—145)

**ექიმი** ვ. მუსხელიშვილი მიიღებს თვალის ავადმყოფთ ყოველ დღე დილ. 9—11 საათ. დიდი მთავრის ქუჩ., N 67, სახლი სვანიშვილისა.

## ვაგზლის კერძო სამკურნალო

კარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვაგზლის ქუჩა, N 8. ტელეფონი N 695.

ე. ს. გაშაკიძე—ყოველ დღე, შინაგან ავადმყ. 9 ნახ.—10 ს.

ა. ნ. დიასამიძე—ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ., კანისა და ვენერ. 11—12 ს.

ბ. ა. პოპოვი—ყოვ. დღე, კვირ. გარდა. ყელი, ყური და ცხვ. სნეულ. 11—11½.

ვ. ს. სტანიშევსკი—ყოველ დღე, კვირის გარდა. შინაგანი ავად. 11½—12 ს.

შ. ა. მიქელაძე—შინაგან და ბავშვთა ავადმყ. 1—2 ს.

ნ. მ. მელიქიშვილი — ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1—2 ს.

ვ. ვ. სოხოლევსკი—ქირურგ., ყოველ დღე, კვირის გარდა. 2—3 ს.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით.

**წამლობა „606"-ით.** (წო.—1090—170)

ელექტრონისა და რენტგენის სამკურნალო

## მიხეილ გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილ. 12—1 ს., საღ. 6—7 ს., გაშინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყორღანოვის ქ., N 20. (წ.—1249—147)

დოქტორი მედიცინისა

## ი. ე. თიკანაძე

სამკურნალო აკადემიის სამშობიარო და სადოსტაქრო კლინიკების ორდინატორად ნამყოფი, იღებს ფეხმძიმეთ, დედათა სნეულებით, სადოსტაქრო და საშარდე ორგანოთა (ვენერიულის გარდა) სნეულებით ავადმყოფ მანდილოსნებს. ყოველ დღე საღამ. 5—7-მდის. კიროჩნის ქ. ხას. N 18, თავ. გაჩნაძისა, ოფიცერთა ეკონომიურ საზოგადოების მაღაზიის პირდაპირ.

საშარდე ორგანოთა სნეულებით ავადმყოფნი მხოლოდ ხუთშაბათობით და კვირაობით მიიღებიან. (თ.—839—7)

**ექიმი** ზ. ნ. მამაკიანი შინაგანი და ბავშვთა ავადმყოფ. სპეციალური ავადმყ., კუჭისა და წელებისა. მიღება დილ. 10—11 ს. (ბავშვ.) და 5—7 ს. (საზოგ.). მიხეილის პროსპექ. N 36, ტელეფონი 388. 25—1442—37

**ექიმი** ივ. გომართელი. დაბრუნდა და განაახლა ავათმყოფთა მიღება დილით 8—12 საათ. საღამოთი 5—7 ს.-მდე.

ვერაზე, ოლღას ქუჩა, № 20. (თ.—813—14)

**ექიმი** მ. ი. მინასიანცი შინაგან, ბავშვთა, კუჭისა და ნაწლავ. სნეულებათა, პარიზელ პროფეს. Mathieu-ს სპეციალურ კლინიკიდან. ღებულობს დილის 9—11 ს.-და და საღამოს 6—7 საათამდე.

მლიხაბეღის ქუჩა, N 39, ტელეფონი N 1067. (100—1117—14)

**ექიმი** კბილისა ალ. სოლოლაშვილი იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9—2 საათ. და საღ. 5—7 ს.-მდე. გოლოვინის პრ., N 12, სახლი მდივნისა.

**ექიმი** კბილისა ნინო რცხილაძე მიიღებს ავადმყოფებს დილის 10—2 ს.-მდე და საღამოს 5—7 ს. ადრესი: ოლღას ქუჩის შესახ. N 5.

**ექიმი** პ. არდაზიანი შინაგან და ბავშვებ. ავადმყოფ. (სპეციალ. ფილტვების სნეულება, სისხლის ნაკლულება, რევმატიზმი—ქარები).

ტფილისი, ალექსანდროვის ქუჩა, N 3, დილის 9—12 ს. საღამოს 5—7. (25.822.10


## ტფილისი, 30 სექტემბერი

**„ახალი ჯგუფი" და მისი დემოკრატობა.**

„მნათობი" კვლავ განაგრძობს ჩვენთან კამათს და კვლავ ცარიელ სიტყვებითა და ფრაზეოლოგიით სურს გაამართლოს ის პოზიცია, რომელიც ქართველმა ამომრჩევლებმა დაიჭირეს. კაცმა უნდა სიმართლე სთქვას, სიტყვებს ძვირსა ხარჯავენ, მაგრამ იმ ათასჯერ გამეორებულ აზრს მაინც ვერ გადასცილებიან, რომ ჩვენ პროგრამულ ნიადაგზე ვდგევართ, ჩვენი მოწინააღმდეგენი კი ნაციონალურზე, ანუ ნაციონალისტურზეო, რაც, „მნათობი"-ს წარმოდგენით, ერთი და იგივეა. ბ-ნი ნარიც თავის უკანასკნელ წერილში ამ დაბერებულ აზრს უტრიალებს გარშემო. კამოჩენილი გმირი ლამანჩისა ქარის წისქვილებს ებრძოდა და ნაყოფი თავის ფანტაზიისა რეალურ სინამდვილედ ეჩვენებოდა. მას შემდეგ ბევრმა დრომ გაიარა, მაგრამ დონ-კიხოტები ჩვენში არ გამოლეულან. დღესაც მრავალი მოგვეპოვება ისეთი მწერალი, რომელსაც ნაყოფი თავის ფანტაზიისა სინამდვილედ მიაჩნია, ებრძვის ქარის წისქვილებს და მტერსა ჰხედავს იქ, სადაც მხოლოდ ქარის წისქვილები ტრიალებენ. ბ-ნი ნარიც ერთს ამნაირს მწერალთაგანს მოგვაგონებს.

„მნათობი" ყოველ დღე გვარწმუნებდა, „ახალი ჯგუფი" ერთად-ერთი ჭეშმარიტი დემოკრატიული ჯგუფია, ყველა დანარჩენნი ან ნაციონალისტები არიან ან ბურჟუებიო. თავის თავისა კი ძალიან წარმოდგენა აქვს. იმის აზრით, „სახალხო გაზეთს" დემოკრატიული ნაწილი არ თანაუგრძნობს. ალბად „მნათობს" თუ თანაუგრძნობს? მაგრამ მგონია თვით „მნათობიც" კარგად უნდა ხედავდეს, რომ მის აზრებს ისეთივე გასავალი აქვს, როგორიც გაკოტრებულ ვაჭრის თამასუქს.

ასეთსავე თამასუქს წარმოადგენს „ახალი ჯგუფის" ბიუროს ამიერიდან დაუვიწყარი „განმარტება", რომლის შინაარსიც გუშინ გავაცანით ჩვენს მკითხველებს. ამ განმარტებიდან ნათლადა ჩანს, რომ ეხლა, როდესაც არჩევნები ცხვირწინ გვაქვს, ჯგუფს დაჰვიწყებია თავისი პროგრამა და ყველა წოდებასა და ეროვნებას უკაკუნებს კარებში—საარჩევნო ბრძოლის ასპარეზზე ჩემთან დადექითო. სხვებს უკიჟინებდნენ, ბურჟუები ხართო, ყველა წოდებანი გინდათ შეაერთოთო და ბოლოს კი გამოირკვა, რომ ჩვენ, ვისაც „მნათობი" ბურჟუობასა და დემოკრატიულ პრინციპების ღალატსა გვწამებდა, მტკიცედა ვდგევართ ჩვენს პოზიციაზე, „ახალი ჯგუფი" კი ყველას მოუწოდებს თავის დროშის ქვეშ.

იმ განმარტების შემდეგ, რომელიც „ახალ ჯგუფი"-ს ბიურომ დაბეჭდა „ზაკავკაზიე"-ში, ნათლად გამოირკვა, რომ იგი სრულიად არაფრით განსხვავდება იმ ბურჟუაზიულ ჯგუფებისაგან, რომლის წინააღმდეგაც თითქმის იბრძვის „მნათობში". მსგავსად იქ ბურჟუაზიულ ჯგუფებისა, „ახალ ჯგუფსა"-ც აზრათ აქვს მომხრენი **ყველა წოდებაში** გამოძებნოს, და რომ ეს უფრო ადვილი მოსახერხებელი იყოს, ფეხით სთელავს ისეთს პრინციპებს, როგორიცაა ინტერნაციონალიზმი, სოციალიზმი და სხვა. „ახალი ჯგუფი" ფეხით შელდგა ინტერნაციონალიზმსა და სოციალიზმზე და ხაზ გასმით აღნიშნა, რომ არავითარ პოლიტიკურ მიზნებს არ ისახავს. შეიტანა რა ასეთი კორექტივი თავის პროგრამაში, მერე **ყველა წოდებათ** მიმართა და დახმარება სთხოვა. „მნათობი" ამ ცინიზმს დემოკრატობას ეძახის!

იმ დროს, როდესაც „ახალი ჯგუფი", ეს „ერთად ერთი დემოკრატიული ჯგუფი" ასეთს გასაოცარს განმარტებას ჰბეჭდავდა, ქართველი ამომრჩეველნი მტკიცედ იდგნენ თავის პოზიციას, აცნობდნენ პროგრამას ამომრჩევლებს. ქართველ

ამომრჩეველთა **ჯგუფი ყველა წოდებაში** არ დაეძებს თანამგრძნობთ, **ფეხით** არ სთელავს თავის პრინციპებს ბურჟუაზიულ ჯგუფთა გულის მოსაგებად. იგი თამამად მიდის თავის პროგრამით ამომრჩეველთან და მოიწოდებს ყველა იმას, ვისაც შეუძლიან გულ-წრფელად ემსახუროს ამ პროგრამას. იგი თავის პროგრამას კი არა სცვლის სხვათა გულის მოსაგებად, ამ სხვებს ურჩევს მიემხროს პროგრამას და მის განხორციელებას ხელი შეუწყოს.

„ახალი ჯგუფი" კი კრძალვით გულზე ხელებს იწყობს და სათნოებით აცხადებს, ღმერთო მიხსენ ისეთის ცოდვებისაგან, რანაირიცაა ინტერნაციონალიზმი, სოციალიზმი და პოლიტიკაო. შეგვიძლიან მიულოცოთ „მნათობს": კარგად ახორციელებს „ახალი ჯგუფი" „მნათობი"-ს პრინციპებს!..

# ახალი ამბავი

### ტფილისი

◆ **მცხეთობას**, 1 ოქტომბერს, საქართველოს ექსარხოსი მცხეთის ტაძარში სწირავს.

◆ **ტფილისის გუბერნატორმა** ქალაქის გამგეობას გაუგზავნა მეპურეთა ამქრის უსტაბაშის თხოვნა, რომელშიაც აღნიშნულია ქალაქის გამგეობის დაუდევრობა მეპურეთა შუამდგომლობისადმი. ქალაქის გამგეობამ თავის დროზე არ შეამოწმა ბაზრებზე პურის ფასი და შესაფერი ნიხრი არ შეიმუშავა, მეპურეები იძულებულნი გახდნენ მესამე ხარისხის პური არ გამოეცხოთ, რამაც მათი დაჯარიმება გამოიწვია. გუბერნატორმა გამგეობას ამ საჩივარის გამომწვეველი მიზეზების განმარტება მოსთხოვა.

◆ ტფ. გუბერნატორმა პოლიციმეისტერს ქალაქის საბჭოს მიერ დამტკიცებული **ახალი ნიხრი** გაუგზავნა, რომლის მიხედვით **ფურნის პური** ეღირება: I ხარ. ნაცვლად $4\frac{1}{2}$ კაპ.—$4\frac{3}{4}$ კაპ.; II ხარ. ნაც. 4 კაპ.—$4\frac{1}{2}$ კაპ. და III ხარ. ნაც. $3\frac{1}{4}$ კაპ.—$3\frac{1}{2}$ კაპ. **თონისა** II ხარ. ნაც. 4 კაპ.—$4\frac{1}{2}$ კაპ. და III ხარ. ნაც. $3\frac{1}{2}$—4 კაპ. **ლავაში** პირველი ხარისხისა 5 კაპ., მეორე—$4\frac{1}{2}$ კაპ. გუბერნატორმა უბრძანა სასტიკად ადევნოს პოლიციამ თვალყური ამ ახალ ნიხრის შესრულებას.

◆ **კავკასიის სამოსწავლო ოლქის რევიზია** სატახტო გაზეთის სიტყვით, კავკასიაში მიემგზავრება სახალხო განათლების მინისტრის ამხანაგი, რათა ადგილობრივ გაიცნოს, როგორ არის დაყენებული საქმე კავკასიის სამოსწავლო ოლქში.

◆ **საქალაქო არჩევნები.** ქალაქის გამგეობას აზრად აქვს, მომავალი საქალაქო არჩევნები კენჭების მაგივრად ბარათებით მოახდინოს. ამ უფლებას ქალაქებს **ანიჭებს 1907** წლის გამოცემული საქალაქო დებულების შენიშვნა.

◆ **ხმოსანთა ამომრჩევლების „ახალ ჯგუფს"** 2 ოქტომბერს წინასწარი საარჩევნო კრება ექნება.

◆ საქართველოს სამხედრო გზის მოიჯარადრემ სერგეი ედიგაროვმა შუამდგომლობა აღძრა, ნება მიეცეს ტფილის-კაკავს შუა **სამგზავრო ავტომობილების** მიმოსვლა მოაწყოს. ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის ოლქის უფროსმა, გუბერნატორს ხელშეკრულების გეგმა წარუდგინა, რომელიც საგუბერნიო საკრებულომ უნდა გაარჩიოს გუბერნატორის თავმჯდომარეობით და ტფ. ოლქის უფროსის მონაწილეობით.

◆ **გუბერნატორმა** ტფილისის მაზრის მცხოვრებთათვის საგანგებოდ გამოცემულ სასანიტარო სავალდებულო დადგენილებათა § 1, 4, 5, და 7 მუხლების დარღვევისათვის **დააჯარიმა**: 1) სოფ. პრიუტში მედუქნეები: სიმონ დავიდოვი, სერგეი დადიანცი, ნიკოლოზ ბალდასაროვი და დავით დავიდოვი. 2) სამდლობი მიხეილ და გიორგი ზუბიევები, და გია ბაიანდუროვი პირველნი 5—5 მანეთით და უკანასკნელი 20 მანეთით.

◆ **ქალაქ ტურინის** (ჩრდილო იტალია) **საერთაშორისო გამოფენაზე კავკასიის საბრეშუმო სადგურმა**, იქ გამოფენილ მეაბრეშუმეობის ნიმუშებისათვის უპირველესი ჯილდო მიიღო. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ სწორედ ასეთი ნიმუშები იყო წარდგენილი მოსკოვის გამოფენაზე და იქ საუცხოვო ფერადობისათვის ექსპერტიზამ ფალსიფიკაციად აღიარა.

◆ ვაჭრობისა და მანუფაქტურის დეპარტამენტმა აცნობა ჩვენს თანამემამულეს პავლე **იაკობის ძე იზაშვილს** (იზოვს), რომ დეპარტამენტმა პატენტი მისცა—30 ივნისის 1911 წ. თარიღით № 19237, რომლითაც **პრივილეგია ეძლევა** იზაშვილს ინფუზორიის მიწის შემუშავებისა. ამ მიწას დიდი მნიშვნელობა აქვს მრეწველობაში. როგორც შევიტყეთ, იზაშვილი აპირებს შეადგინოს სააქციონერო საზოგადოება ქარხნის მოსაწყობად, სადაც შეუდგებიან ამ მიწიდან სხვა და სხვა ნივთების გაკეთებას. ხელით გაკეთებული პრესს ბიუვარი ამ მიწისა მეტის მეტად ლამაზი და შნოიანია და ქაღალდსაც კარგად აშრობს.

◆ როგორც დეპეშათა სააგენტოს პეტერბურგიდან იტყობინება, ახალ გზათა კომისიამ სურახან-თურინის სააქციონერო საზოგადოებას ამიერკავკასიის რკინის გზაზე, **სადგურ ევლახიდან ვიდრე შუშამდე**, 95 ვერსის მანძილზე, ვიწრო ლიანდაგიან **რკინის გზის გაკეთების ნება მისცა.**

◆ „ახალი კლუბის" დერეფანში გამოფენილია **ბ. კლდიაშვილის** მიერ გამოგონილი **საფრენი მანქანის მოდელი**, რომლის სურათი ჩვენ გაზეთის დამატებაში უკვე მოვათავსეთ. ეს მოდელი ნამდვილ აეროპლანის მეხუთედის ზომისაა.

◆ **კატორგელების შეპყრობა.** 24 სექტემბერს ტფილისში შეიპყრეს კატორგიდან გამოქცეულნი ი. გრიქორ მალხაზიანცი და ვართან კოჭაშვილი. პოლიციის ცნობებით, ასინი გორის მაზრიდგან ჩამოვიდნენ და კახეთს მიემგზავრებოდნენ, რათა ყაჩაღთა ბრბოებს შეერთებოდნენ.

◆ მომდინარე წელს ჯარში გასაწვევ ახალგაზრდათა კომისიები საქმის წარმოებას შეუდგებიან **პირველ** სამაზრო გამოსაწვევ უბანში—ტფილისში 3 ნოემბერს, **მეორეში**—სოფ. სართიჭალაში, 25 ოქტომბერს და **მესამეში**—განჯაში, 15 ოქტომბერს.

◆ **პროფ. მარი** გუშინ ტფილისში ჩამოვიდა.

◆ **სამთვარ ბალახის** საცდელ თესვაზე კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებას 1910 წელს 1000 მან. დაუხარჯავს. სულ დაურიგებია 57 ფუთი და 21 გირვანქა თესლი. ცდას ბევრგან კარგი შედეგი მოჰყოლია. ბალახი ორჯელ გაუთიბავთ. საზოგადოებას იმედი აქვს, მიმდინარე წელს ბალახი 3-4 ჯერაც გაითიბება.

◆ **ღვინის სარდაფების მეპატრონეებმა** გუშინ 40 კაცისაგან შემდგარი კომისია აირჩიეს და დაავალეს იმ 12,600 მან. შესაფერისად განაწილება, რომელიც მათ 1912 წელს სააქციზო გადასახადის სახით უნდა გადახდეთ.

## საზოგადოებანი და კრებები.

◆ დღეს, საღამოს $7\frac{1}{2}$ საათზე, **მდაბიო მოქალაქეთა გამგეობის სადგომში, შესდგება რწმუნებულთა კრება.** განსახილველია 1) სხვა და სხვა პირთა თხოვნები: დარჩენილ გადასახადების პატიებაზე. ბ) ცალკე კომლად გამოყოფა. გ) მოქალაქეთა რიცხვში მიღება,—გამორიცხვა.

2) ზოგიერთ პირთა შუამდგომლობა, რათა მოწმობა მიეცეთ, რომ მათი ოჯახის წევრები უკვალოდ დაიკარგნენ და სხვა.

◆ **კავკასიის სასოფლო სამეურნეო საზოგადოების** კრებაზე, რომელიც 7 ოქტომბრისთვის არის დანიშნული, ვ. ი. რცხილაძე მოხსენებას წაიკითხავს მოტორიან გუთნის შესახებ, რომელიც მანთაშევის მამულში მუშაობს.

◆ დღეს, საღამოს 7 საათზე, კავკასიის სასოფლო სამეურნეო საზოგადოების სადგომში კრება ექნება **საქონლის მომშენებელ ბიუროს**, რომელიც მოისმენს მოხსენებას ბორჩალოს მაზრის სოფელ ვორონცოვკაში გამართულ მეწველ საქონლის გამოფენის შესახებ.

### რკინის გზა

◆ **სადგური ნატანები** (ბათომის მაზრა). 28 სექტემბერს, 74 ვერსზე ჩქარი მატარებელი № 2 ლიანდაგზე მიმავალ 65 წლის გლეხს **ბეჟუკა მელუას** წამოეწია და დაასახიჩრა. დაშავებული **დახმარების აღმოჩენისთანავე** ტფილისის რკინის გზის საავადმყოფოში გაჰგზავნეს.

### გორი

◆ აქ ყოფნის დროს ტფილისის გუბერნატორს **გორელმა ვაჭრებმა ორი თხოვნა მიართვეს** იმის თაობაზე, რომ დუქნების ადრე კეტვის დადგენილება შესცვალონ. გუბერნატორმა თხოვნები ქალაქის მამასახლისს გაუგზავნა და წინადადება მისცა, შერეულ კომისიაში განიხილონ საკითხი სავაჭრო დაწესებულებათა მოსამსახურეების ნორმალურ დასვენების კანონების მე-10 მუხლის მიხედვით. ქალაქის მამასახლისმა ორჯელ დანიშნა კომისიის სხდომა, სადაც მოიწვია სავაჭრო დაწესებულებათა წარმომადგენელნი აგრეთვე მოსამსახურეებიც, მაგრამ სხდომები არ შესდგა, რადგან საკმაო რიცხვი არ შეიკრიბა.

ტფილისის გუბერნატორმა გორის ქალაქის მამასახლისს წინადადება მისცა: 1) ქალაქის ბაღში სადარაჯოს აშენებისათვის გადადებულ თანხის ხარჯვა შეაჩეროს ვიდრე 1912 წლის ხარჯთაღრიცხვაში არ იქნება შეტანილი, რათა საქალაქო დებულებათა კანონების 140 მუხლის 1, 13, და 14 პუნქტები არ დაირღვეს. 2) დ. ი. ტერ-პეტროსოვის მამულებიდან დარჩენილ შესაფასებელ გადასახადის 41 მან. და 84 კაპ. ჩამოიხსნას, რადგან დარღვეულია ამავე კანონების 63 მუხლის 8 პუნქტი.

### ქუთაისი

◆ ქუთაისის კერძო (მკურნალის) გიმნაზიაში ფრანგულ ენის მასწავლებლად მოუწვევიათ **ლ. დარჩიაშვილი**, რომელიც ამ დღეებში შეუდგება მეცადინეობას.

◆ **ქუთაისის ქალაქის საგუბერნიო საკრებულომ** 27 სექტემბერს, გაარჩია სოხუმის თვითმართველობის დადგენილება,—რუსეთის სატრანსპორტო და დამზღვევ საზოგადოებას უფლება მიეცეს გაკეთოს და ისარგებლოს სოხუმში ნავთ-სადგურით 5 წლის ვადით, თუ წლიურად 600 მან. გადაიხდის. („მნათ.")

### ბათომი

◆ სამხედრო გუბერნატორმა ქალაქის გამგეობას სთხოვა, რაც შეიძლება ჩქარა მოაწვდინოს ცნობა იმის შესახებ, რომ ქალაქის უფროს ექიმს ვ. პრიანიშნიკოვს დარჩა თუ არა შვილი, და, თუ დარჩა, რამდენი წლისაა და სად იმყოფება ამ ჟამად, თავის ხარჯით სწავლობს, თუ ხაზინისა. ქალაქის გამგეობამ აღმოუჩინა თუ არა მას რამე დახმარება?

◆ ქალაქის მეთაური **ბ. ჩხენკელი** ქალაქის გამგეობას ატყობინებს, პირუტყვთა შორის არავითარი გადამდები სენი არ შეგვინიშნავსო. („ბათ. გაზ.")

### ზესტაფონი

◆ ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების განყოფილების გამგეობას 26 ენკენისთვეს მორიგი კრება ჰქონდა, ამ კრებაზე არჩეულ იქმნა გამგეობის წევრებისაგან დეპუტაცია ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკის გამგეობასთან გასაგზავნად; დეპუტაციას დაევალა უკანასკნელად იშუამდგომლოს ბანკის გამგეობის წინაშე **რათა დაუთმოს 2000 მანეთად ზესტაფონის განყოფილებას დამწვარ თეატრის შენობა**, რომელიც დღეს ამ ბანკის კუთვნილებას შეადგენს. ამ საგანზე ზესტაფონის განყოფილების გამგეობას სამჯერ ჰქონია აღძრული შუამდგომლობა ბანკის გამგეობის წინაშე, მაგრამ ბანკს ყოველთვის 3900 მანეთი ნაღდი ფული მოუთხოვია. („კოლხ.")

### პროვინცია

◆ **სოფ. ზედა-გეზრული.** (შორაპნის მაზრა) ხმა გავრცელებულა. რომ ადგილობრივ მღვ. ტყემალაძის ცოლი ელენე ე. გეგელაშვილს ჰყვარობსო. ამიტომ ქალს გადაუწყვეტია გელაშვილთან სამუდამოდ კავშირის შეწყვეტა. 12 ენკენისთვეს, საღამოს, გელაშვილი მისულა ტყემალაძისას და მოუთხოვნია კარების გაღება, ქალს უარი უთქვამს. გელაშვილი დაჰმუქრებია, კარს გავტეხავო. ქალს აუღია საფანტით გატენილი თოფი და უსროლია. საფანტი გელაშვილს მოხვედრია და იქვე მოუკლავს. ელენე ტყემალაძე დატუსაღებულია. („მნათ.")

◆ **სოფ. შაგალი** (ბორჩალოს მაზრა). ყაჩაღ ბაშმაკუა ბაქურის ბრბომ, რომელშიაც ცნობილი ჯანგირიც იღებდა მონაწილეობას, ქარხნების ახლოს ჩაფარი გააჩერა, გამოჰკითხა, თუ როდის [illegible] რხანა ფოსტიდან ფულს. [illegible] რევოლვერი და პატრონები წაართვეს და სოფ. სისიმლალისაკენ მიიმალნენ.

◆ **სოფ. სარალი** (ბორჩალოს მაზრა). ანანოვის მამულში, მოურავი ომანეზ ასტვაცატუროვი ხის ძირს უცნობ ქართველის გვამს წააწყდა. გვამს საფანტის ჭრილობა ატყვია.

## ტფ. მეორე კომმ[illegible] სასწავლებელი

აგერ სულ სამიოდ თვეა, რაც ტფილისის ახალი უფლებიანი მეორე [illegible] მერცული სასწავლებელი შეემატა. სამწუხაროდ, უნდა აღვნიშნოთ, რომ სწავლის დაწყებიდგანვე თვით მასწავლებელთა შორის დაიწყო ინტრიგანობა და პარტიაობა, რასაც, უეჭველია, არა სასურველი შედეგი მოჰყვებოდა, რომ მათ საქმეში თვით მოსწავლეთა მშობლები არ ჩარეულიყვნენ ამ თვის 25-ში.

ჯერ კიდევ ამ ორიოდ კვირის წინედ შესდგა მასწავლებელთა კრება, რომელსაც უნდა ამოერჩია მზრუნველთა საბჭოს წევრნი. აქ თვით სასწავლებლის დამაარსებელი ბ-ნი ივ. ზ. ტერ-სტეპანოვი არ მოჰყვა წევრად და ამან გამოიწვია ის ყალ-მაყალი, რაც ადგილობრივ პრესაში უკვე აღნიშნული იყო. გამწყრალმა ტერ-სტეპანოვმა ვერ შესძლო მარცხის მოთმენა და კეთილ-გონიერება გულის ზრახვას შესწირა მსხვერპლად. მან მალე შემოიკრიბა სომეხ მასწავლებელთა უმრავლესობა და უკმაყოფილონი, ანუ „პროტესტანტები", როგორც ეწოდა მათ პარტიას, და ბ. ასატუროვის მოხმარებით პროტესტი განაცხადა, ეს კრება უკანონოაო. პროტესტს ხელს აწერდნენ თვით ბ-ნი ტერ-სტეპანოვი, აბრამიანი, ასატუროვი, მათევევი და სხვანი. ეს ამბავი ოლქის მზრუნველსაც შეატყო, რომელმაც დაუყოვნებლივ კრება დანიშნა 25 ამ თვეს ხსენებულ პროტესტის განსახილველად. კრებაზე თვით მოსწავლეთა მშობლებმაც მიიღეს მონაწილეობა, რიცხვით ასზე მეტმა, რის გამოც იგი კანონიერად იქმნა აღიარებული.

თავმჯდომარედ თავ. ნიკ. ეგ. არღუთინსკი იქმნა არჩეული, რომელმაც საზოგადოებას გააცნო „პროტესტანტების" ჩივილი და თანაც დასძინა: „ნორჩ სასწავლებლის ინტერესების დასაცველად ამ საკითხს უფრო გულისყურით მოეპყარით და გულის თქმა კეთილ-გონიერებას დაუმორჩილეთო. შემდეგ წინადადება მისცა შინაურულად მორიგებულიყვნენ, მაგრამ პროტესტანტებმა არ ინებეს. აღმოჩნდა: ა) წინანდელი კრება თურმე იმიტომ იყო უკანონო, რომ იქ მონაწილეობას იღებდნენ ისეთი მშობლებიც, რომელთაც შვილების სწავლის ფული სრულიად არ შეეტანათ და ბ) ზოგიერთი ნამდვილი მშობელი კი არ იყო, არამედ მზრუნველად მიჩნეილიო. აი ის უმთავრესი მოტივი, რომლითაც ხელმძღვანელობდა ბ-ნი ტერ-სტეპანოვ-ასატუროვი და მთელი იმათი კომ-

# ცხოვრება და ხელოვნება

**ხვ. ყიფიანი. წვრილი მოთხრობანი. ტფილისი 1911 წ.**

(დასასრული)

ნურც იმას ვიფიქრებთ, რომ ქალწულისა და ჭაბუკის სიყვარული მარტო სულიერს ნიადაგზედ იყოს აღმოცენებული, თუმც ქალი კიდევაც გვარწმუნებს, „მდიდარ სულს ვეძებდი, ვეძებდი ადამიანსო". ნუ დავივიწყებთ, რომ ეს ადამიანი ქალწულს გამოეცხადა მომხიბვლელის ყრმის სახით, რომლის აღგზნებულ შავ თვალებში „ჭკუა და უცნაური ძალა ისახებოდა. ის იყო გენიოსი მათხოვრის ტანისამოსში. განიერი მკერდი მაღლა აღიოდ დაუდიოდა და მთელი მისი არსება იმ წუთს მზად იყო გოლიათს შებრძოლებოდა".

ამ მოთხრობაში არის ერთი მოტივიც, რომელიც ეხლანდელის განწყობილების გამომხატველია. ნიცშეს ამორალიზმის გავლენის ქვეშ არის დღეს მთელი მწერლობა. ამას არც ჩვენი მწერლობა გაქცევია და ბ. სვ. ყიფიანის ზემოხსენებულ მოთხრობას აჩნევია კვალი ამ ტენდენციისა. ქალწული ეძიებდა ადამიანს, რომლის გული შემკული ყოფილიყო „საერთო სიყვარულის თვისებით". ჭაბუკის მთელი არსება კი აღსავსე იყო მოძმე—მტარვალისადმი სიძულვილით. რანაირად უნდა მოერიგებინა ესეთი განსხვავება მის თეორიულ წარმოდგინებასა და არსებულ სინამდვილეს შორის ქალს, რომლის გული უკვე მოხიბლული იყო რაინდის—ჭაბუკისაგან. ფრანგები იტყვიან, გულს ისეთი მოსაზრებანი აქვს, რომელიც თვით აზრსაც არ აქვსო. უეჭველია, სიყვარულით გატაცებული ქალი ამგვარ მოსაზრებას იძიებდა და კიდევაც ჰპოვა: „ადამიანს ეძლევა ნება, არ უყვარდეს მხოლოდ თავისი ბატონი"-ო დააკანონა მან თავისი გულისთქმა. რამდენად ფსიხოლოგიურად სრულიად კანონიერია და სინამდვილის შესაფერისი, რომ ადამიანმა ყოველთვის გამოუძებნოს თავისს გრძნობას რაიმე საფუძველი, თუგინდ გონიერების ლოღიკას წინააღმდეგი, ოღონდ კი გულის მოსაწონარი, იმდენად ეს პასსაჟი მით არის საყურადღებო, რომ, ვიმეორებ, იგი დღევანდელ სულის განწყობილების გამომსახველია. ეს პატარა წინადადება იმას გვასწავლის, რომ არ არის ერთი და იგივე კანონი ზნეობრივობისა ყველასათვის. რომ არის ერთგვარი მორალი, ზნეობის კოდექსი, მტარვალთათვის, ბატონთათვის და ამის მეორე გვარი მცნება ზნეობრივ მოქმედებისათვის დასახული ჩაგრულთა და მონათათვის, რომ მჩაგვრელთა და ტანჯულთა შორის ნიადაგი ბრძოლაა, და რომ ბრძოლის კანონები ულმობელია, შეუბრალებელია; შეუბრალებელი ორივე ჯგუფისათვის: სიბრალული, სიყვარული და შეწყნარება თავისიანს, სიძულვილე, გულის წყრომა და სისასტიკე სხვისიანს, მაგრამ მაშინ, როდესაც ერთი იბრძვის ამ წესწყობილების განსაუკუნოებისათვის, იბრძვის, რათა დაამყაროს სამარადისო განთიშვა ჩაგრულთა და მჩაგვრელთა შორის, მეორე—ჩაგრულნი,—იბრძვიან ამგვარის წესის მოსასპობათ. მათი სურვილია ქვეყნად ძმობისა და ერთობის გაბატონება, ყოველივე ჩაგრულის მოსპობა და ყოველივე მჩაგვრელის ძირიან-ფესვიანად ამოძირვა.

ამგვარ მეთლიან, ასე ვსთქვათ, ნაწყვეტს ეკუთვნის „ირემი და ხარი". აქაც დაპირდაპირებული ლაღი, თავისუფლების მოყვარე, მარტო თავის მოიმედე ირემი და სხვისი მონა, სხვის იმედად მიგდებული ხარი, „გამხდარი, ზურგზედ და ბეჭებზედ ამძვრალი ტყავით"; ამაყი და მედიდური თავისის პირადობით ირემი ასეთს „პროპაგანდას" გაუწევს ხარს: ...„მე ვარ თავისუფალი... ვით ფიქრი დაჰქრის სივრცეში და ელვასავით ურბენს მთელს სამყაროს, ისე დავრბივარ ამ მაღალ მთებში და ჩემთვის არ არსებობს არავითარი დაბრკოლება, არავითარი დაშლა. დავრბივარ მთის მწვერვალებზე, ხევებსა და ფერდობებზედ დაუღალავად, უდარდელად და დავეძებ გემრიელს ბალახსა და ცივს წყაროებს. სადაც დავიღლები, იქვე ვისვენებ, სადაც ღამე მისწრებს, იქვე ვიძინებ. ეხლა—თავს ხევებს ვაფარებ, ცივ-თბილს ნაძვნარს ვეძებ". შენ კი—„საბრალოვ! მრავალ საუკუნოების მონობამ ისე ღრმად გაიდგა ფესვები შენს დაბეჩავებულს გულში, რომ, თავისუფლების სიმშვენიერეს თუმცა კარგადა ჰგრძნობ, მის მოხაპოვებლად ხელის განძრევაც კი არ გინდა. სისხლის მსმელმა შენმა ბატონმა ისე ღრმად შთაგინერგა გულში შიში, რომ მისის ბრძანებით მზად ხარ მიწაზედ დაწვე და დანას ყელი მიუშვირო! ხოლო გონება შენი ისეა დაბეჩავებული, რომ გეშინიან, პატრონს რომ გაშორდე, ვაი თუ სიმშილით მოვკვდეო".

ეს დიალოგი ხარსა და ირემს შორის პირდაპირ პოლიტიკური და სოციოლოგიური დიალოგია, თუ გნებავთ ფილოსოფიურიც. ირემი არა მარტო თავისუფალი პიროვნებაა, იგი ინდივიდუალისტია და ანარქისტი: „ჩემთვის ერ არსებობს არავითარი დაბრკოლება, არავითარი დაშლაო" ამბობს იგი და ავიწყდება, რომ ის „საცოდავი არსება", რომელსაც ასეთის დაცინვით მოიხსენიებს (ადამიანი), ხშირად გაუგმირავს ხოლმე პატარა ტყვიით მის მშვენიერ მედიდურ შუბლსა. ხარი კი დროსა და გარემოების მონაა. არც თუ მისი მონობაა ეგრე აბუჩად ასაგდები. მისი მონობაც მრავალ მისგან დამოუკიდებელ გუნებაზედ არის დამყარებული. მაგრამ იქ, სადაც ამ გარემოებას იგი უკვე ამართლებს თავისის პირუტყვულის მორჩილებით, იგი სწორედ დასაგმობია და შესაზიზღარი მისი პატრონის, იმ პატრონის, რომელიც ზურგზე ტყავს აძრობს, აუგად ხსენებას არა თუ თვით ვერ ჰზედავს, როცა ირემი მოიხსენიებს მას საცოდავ არსებად, —ხარს განცვიფრება მოიცავს და „შიშით მიიხედ-მოიხედავს". რასაკვირველია, ასეთს მონასთან დაპირდაპირებული, კისერ მოღერებული, „თავისუფალ სულდგმულთა სამფლობელოს მცხოვრები" წარმტაცია და მიმზიდველი. და რამდენს მოიგებდა ეს მოთხრობა, რომ, მართლა, ცოტა „პროპაგანდის" სუნი არ უდიოდეს. რაც უნდა თანაუგრძნობდეთ რომელიმე აზრს, თუ იგი ნამეტნავად გვეჩხირება თვალში უკვე ხელოვნური ნაწარმოები პუბლიცისტურად იქცევა და თავის მნიშვნელობასა ჰკარგავს. აბა, აიღეთ ვაჟას რომელიც გინდათ პატარა მოთხრობა, თუ ერთი სტრიქონი ნახოთ იქა პუბლიცისტიკის მსგავსი რამე? და აბა მიჩვენეთ რომელიმე მათგანი, რომელიც ღრმა აზრით გამსჭვალული არ იყოს?

ყოველ შემთხვევაში ორივე მოთხრობა („ქალწული და ჭაბუკი", „ირემი და ხარი") ბ. სვ. ყიფიანის ახალის მანერის გამომსახველია, ახალის ნაბიჯის ნიმუშია და, როგორც ეგეთი, ყოვლად მოსაწონარია. „სიმინდის მთოხნელი" სულ სხვაგვარია. აქ უკვე ავტორის, და მის სახეში გონების წარმომადგენელის, განწყობილების სურათია

პანია. მაგრამ ეს დებულებანი უმალ უტყუარ საბუთებით დაარღვია ბ-ნმა გარ. ქავ. ტერ-დავიდიანმა, რომლის ენა-წყლიანობას და გულ-წრფელ სიტყვა-პასუხს მთელი კრება ტაშის ცემით ეგებებოდა. ასეთივე იერიშით ეკვეთა ერთი მზრუნველთაგანი მშობლების მხრით და დაამტკიცა, რომ მას, როგორც მზრუნველს, სწორედ უფლება ჰქონდა წინა კრებას დასწრებოდა, ვინაიდან მშობლები მოსწავლისა სოფლად არიან, ბავშვი თვითონ ჰყავს ჩაბარებული და, მეორეც, ბიძად ითვლება. ვერც ერთმა იურისტმა, ვერც [illegible] ვერ აღმოაჩინა რუსეთის კანონებში ისეთი მუხლი, რომლითაც ამ მზრუნველის დებ[illegible] დაერღვიათ.

[illegible]გად დამარცხდა ბ-ნი ტერ-სტეფანოვი. ასევე დამარცხდა მისი მარჯვენა ხელი ასატუროვ-აბრამიანი, მთელი ამალით. გაიმარჯვა ბ-ნმა ტერ-დავიდიანმა და თითქმის მთელი კრების ერთსულოვანი ხმით წინანდელი კრება კანონიერად იქმნა აღიარებული. ამას მხარი დაუჭირა ვართაგავამ. შემდეგ პ. გოთუამ წარმოსთქვა ძლიერი სიტყვა, რამაც გადამწყვეტი სახე მიაღებინა მთელს კრებას, რომ კარგი არ არის შინაურ საქმის გაქვეყნება, უმჯობესია ასეთს შემთხვევაში თვით მასწავლებელნი შინაურულად რიგდებოდნენო.

თავმჯდომარემ კენჭი ჰყარა, დიდ უმრავლესობით ხელ-ახლად წინანდელი კრება კანონიერად იქმნა აღიარებული და დაადგინა: წევრებად ითვლებიან ისევ ბ-ნნი: ნ. დ. მახათაძე, გ. ქ. ტერდავითიანი, ა. ი. ნატროევი, ი. ი. ვართაგავა, ვ. ზ. ბარნოვი, მღ. ფ. ლაფეროვი, ა. ა. გაზაიანი, გ. აფრიკიანი, ე. ქ. ტერდავითიანი, ნ. ე. აბრასიმოვი, შემდეგ ორი ახალი წევრიც აირჩიეს საბჭოს შესავსებად, ბ. პ. ა. გოთუა და ა. ი. ოგანეზოვი.

დასასრულ, არ შემიძლიან მკითხველის ყურადღება არ მივაქციო თვით სასწავლებლის მდგომარეობას. სიამოვნებით უნდა აღვნიშნოთ, რომ ახალ სასწავლებლის კვალობაზე იგი სასურველად არის დაყენებული და ნელ-ნელა თავის კალაპოტში დგება. მადლობის ღირსნი არიან სასწავლებლის ახალი გამგენი ბ-ნი ნ. დ. მახათაძე და გ. ქ. დავითიანი, რომელთაც აუწერელი ენერგიით ყოველივე დაბრკოლება დასძლიეს ამ სასწავლებლის მოსაწესრიგებლად და ნიადაგის განსამტკიცებლად.

დამსწრე.

**ავლაბრის ქართულ წარმოდგენების მმართველ სექციის გამგეობის საყურადღებოთ.**

ამ ორი კვირის წინად მივმართე ხსენებულ გამგეობას *), რომელსაც საზოგადო კრებისაგან დავალებული ჰქონდა სექციისათვის გამოენახა ნივთიერი სახსარი და წარმოდგენებისათვის ბინის შოვნა. იმედი გამიცრუვდა და პასუხს ვერ ვღირსე!.. განსაცვიფრებელი და საკვირველია გამგეობის ამნაირი მოქმედება, საზოგადოდ, და კერძოდ ჩვენი სექციის „ლიდერის“ ბ-ნ თ. ნასიძისა, რომელმაც თავს იდვა სექციის წესდების დამტკიცების საქმე. შედარებით, მან ამ საქმეში დიდი შრომა, ენერგია და ღვაწლი დახარჯა და ახლა კი, როგორც ეტყობა, „ღვთისანაბარა“ გახადა!.. განსაცვიფრებელია მათი ასეთი დუმილი მით უფრო, რომ ჩემზე ადრე იმნაირივე წერილით (რასაკვირველია, პრესსის საშუალებით) მიმართა იმავე გამგეობას სექციის ერთმა წევრმაც—ბ-ნმა ა. ბაჯიაშვილმა და მანაც—სიჩუმე. ალბად საკმარისია გუბერნატორის მიერ წესდების დამტკიცება, სექციის ოფიციალურად გამოცხადება და მეტი არაფერია საჭირო! ან, შეიძლება, ეს საქმე აღარ აინტერესებთ ან—საიმისო მოქმედების უნარი არ შესწევთ და მოცალეობაც არა აქვთ?! იმ დალოცვილებმა ამ შემთხვევაში შეგვატყობინონ; მაინც, რომ მათ მაგიერ სხვანი ამოვარჩიოთ—ვისაც საქმის გაკეთება შეუძლიან.

საგულისხმოა, რითი ახსნის ზემოხსენებული გამგეობა ასეთს სიჩუმეს, რით მართლუთებს თავს?

სექციის წევრი დიმ. მ—დი.

*) იხ. „სახალ. გაზ.“ N 397.

## ხმა სამტრედიიდან

სამტრედიაში არსებობს ერთად ერთი შენობა სათეატრო დარბაზისა. ეს შენობა არის რკინის გზის ფარგლებში მოთავსებული და უმთავრესად უხერხულ ადგილზე აგებული. ამას რომ თავი დავანებოთ, მაინც ძლიერ ხელს უშლის ქართველ სცენის მოყვარეებს წარმოდგენის გამართვაში შენობის გამგე. ქართული წარმოდგენის დღეს არც განათებული არის შენობა და არც გათბობილი; ერთი სიტყვით ყოველივე ღონეს ხმარობს ბ. გამგე ხალხი როგორმე დააფრთხოს და სცენის მოყვარეებსაც გული აუცრუოს თამაშობაზე. როცა რუსული წარმოდგენა იმართება (თვითონ ისინი რომ მართავენ), არამც თუ იმ დღეს, გამოცდებზედაც დარბაზი განათებულია და გათბობილიც. ამგვარად ვინ მოსთვლის რამდენ ვაივაგლახს არ განიცდიან ქართული წარმოდგენების მმართველნი ჩვენში. ზედმეტად არ მიმაჩნია, რომ მკითხველებს და დაინტერესებულთ გავაცნო ამ შენობის აგების ვითარება. რკინის გზის სათეატრო დარბაზი აგებულია თვით რკ. გზ. მუშა-მოსამსახურეების ფულით და სამმართველოს დახმარებით. 1907 წ. როგორც იყო დარბაზი მიიყვანეს დასრულებამდის, ასე რომ შეიძლებოდა შიგ წარმოდგენების მართვა. 1908 წ. რკ. გზ. მუშა-მოსამსახურეებმა გამოაცხადეს თავი პატრონად და მოითხოვეს გამგეობის არჩევა სათეატრო შენობისთვის. ამის უფლება ჰქონდათ და ვალდებულნიც იყვნენ თავიანთ შენობას დაჰპატრონებოდნენ. რკინის გზის უფროსმა ნება მისცა და კიდეც აირჩიეს გამგეობა, რომელიც არჩევის დღიდანვე შეუდგა ენერგიულად მუშაობას. სხვათა შორის, ეხლანდელი შენობის გამგეც იყო არჩეული გამგეობაში (ბ. მაქსიმოვსკი); რკინის გზის უფროსმა არჩეული გამგეობა არ დაამტკიცა. ხელმეორედ მისცა წინადადება მოსამსახურეებს ახალი გამგეობა აერჩიათ შენობისათვის და არჩევნების დროს მის მიერ წამოყენებულ დირექტივებით ეხელმძღვანელათ. უკანასკნელიც იქმნა სისრულეში მოყვანილი, მაგრამ მას მერმე გადის 3 წელი და, დაამტკიცეს თუ არა უკანასკნელათ არჩეული გამგეობა, არავინ არა იცის რა. ამ ხნის განმავლობაში შენობას განაგებს ბ. მაქსიმოვსკი (უკანასკნელ არჩევნებშიაც გათეთრებული მომუშავეთა მიერ). რა გააკეთა მან, თუ არ მივიღებთ მხედველობაში ბ. არუთინოვის ენერგიულ მუშაობას (რომელიც უფასოდ მსახურობდა) და პირველად არჩეულ გამგეობის მიერ შეძენილ ნივთებს შენობისათვის,— 3 წლის განმავლობაში შენობას თითქმის არაფერი მომატებია. შენობის ქირას ბ. გამგე იღებს 10 მ.—20 მ. თითეულ წარმოდგენიდან; ამასთანავე ზოგჯერ გამართულა დარბაზისავე სასარგებლოდ ქართული და რუსული წარმოდგენები, რომლებსაც საგრძნობელი თანხა დაუტოვებია, მაგრამ თეატრის შენობის წინ წაწევას ვერაფერი ეტყობა. ნუ თუ 3 წლის განმავლობაში მაინც საჯდომების შეძენა ვერ მოახერხა ბ. მაქსიმოვსკიმ? თავისი „შინაურულ“ წარმოდგენისთვის ბ. გამგე იძენს საგანგებო დეკორაციებს, რომელიც სხვებისთვის უქვისია, და როცა ხედავენ რომ ქართული წარმოდგენა მის უფერხებელ დეკორაციებს, დაჟინებით იტყვის ხოლმე „ქართველებმა არ იციან, როგორ დეკორაციებში უნდა ითამაშონ“ და სხვ. დარწმუნებული ვარ გამგეობა რომ ჰყოლოდა ხსენებულ შენობას 3 წლის განმავლობაში დეკორაციებიც ექნებოდა და კარგად წყობილი დარბაზიც. ბ. მაქსიმოვ ყოველივე ამას ალმაცერად უყურებს და გულში „მდერის“. მას არ უნდა ავიწყდებოდეს, რომ ის ნდობით აღჭურვილი არის მუშა-მოსამსახურეების მიერ, რადგანაც ის ორჯელ გამგეობაში არჩეულ იქნა. ის ვალდებულია ყოველ თვე გამოაკრას დაწვრილებითი ანგარიშები და არა სადღაც „ВѢСТНИКЪ“-ში აცხადოს ბუნდოვანად და ისიც ძლიერ იშვიათად, რომელსაც მოსამსახურეები თითქმის არ კითხულობენ. საჭიროა გამოფხიზლება ვისიც ჯერ არს და შენობისთვის პატრონობა. რკ. გზ. მუშა-მოსამსახურენი პირდაპირ მოვალენი არიან მოსთხოვონ გამგესვე, იშუამდგომლოს ან უკანასკნელად არჩეული გამგეობის დასამტკიცებლად ან და ახალი გამგეობის არჩევაო. მე მგონია საკმარისია ამდენი დაცინვა ბ. მაქსიმოვსკის მიერ!

„ზუკხა“.

მიიღება ხელის-მოწერა
მხოლოდ 16 ოქტომბრამდე
არჩილ ჯორჯაძის
თხზულებათა მე-4 წიგნზე.
წერილები „ცნობის ფურცელ-მოამბიდან“ 1901—2 წ.
ხელის მოწერით ეღირება 45 კაპ. (გამოვა 800 გვ. მეტი).
ფოსტის ხარჯად 10 კაპ.

## მოწერილი ამბები

**სოფ. ლარიხევი.** ეს სოფელი ბედკარიდან ოთხი ვერსის მანძილზე მდებარეობს. ამ სოფელში არავითარი კულტურული დაწესებულება არ მოიპოვება, გარდა ერთკლასიან სამინისტრო სკოლისა, რომელიც, ამ სამი წლის წინად ბ-ნ ქუზა დეკანოსიძის თაოსნობით იქნა დაარსებული. მან აძრა შუამდგომლობა და შენობაც თავის ხარჯით იყიდა. შენობა ხისაა, ცალი კუთხე მაღალ ბოძებზე აქვს დადგმული, ქარს ვერ იტანს და ზამთრობით მეტად ცივა. მას ესაჭიროება: მადლიდან—შავი დაფა, კარიდან—დამფის შემორტყმა, ძირიდან—ქვიტკირის ამოყვანა და შიგნით—ბაქანი. ამ სკოლაში, დღიდან დაარსებისა, მასწავლებლობს ნიკოლა დეკანოსიძე. იგი მხნედ მეცადინეობს, მაგრამ, სხვათა შორის, ერთი დიდი ნაკლი მოეპოვება: სამ განყოფილებაში ერთად სწავლება ვერ ეხერხება. ჯერ ასწავლის ერთ განყოფილებას და დანარჩენი განყოფილების ბავშვები გარედ კისერს იმტვრევენ, მერე მეორეს, მესამეს და ასე. თუ ერთიდ ასწავლა, ერთ გაკვეთილს ორ საათს და მეტსაც მოუნდება. ყველა ამ მიზეზებისა გამო გაკვეთილებს ოთხ-ხუთ საათზე ათავებს. მხნეობა და გარჯილობა კარგია, მაგრამ ისიც არ უნდა ავიწყდებოდეს, რომ ამ წესით სწავლება ყოველივე პედაგოგიურ მოსაზრებას მოკლებული და მაწაწინა ბავშვების ნამდვილი სულის შემხუთველი.

ეს ერთი წელიწადი, რაც ამ სოფელში მოვიდა მიწის მზომელი ბ-ნი ალექსანდრე მინდერაშვილი. მცხოვრებლებს, რამდენადაც კი შეიძლება, შეუპოვათიანად ეპყრობა და ისინიც, თანახმად მათივე თქმულებისა: [illegible] დახთეს, იმასვე მთიმკი“-ო, დიდის თანაგრძნობით ექცევიან.

რიხხვა.

# ჩინეთის რევოლუცია

### დეპეშები

**ხანკოუ.** ხანკოუს ახლოს მდებარე ქალაქი უჩანი რევოლუციონერთა ხელშია. ქუბეის ჯარის უფროსი ყუმბარით მოჰკლეს. გენერალ-გუბერნატორი ქალაქიდგან ჩინეთს კრეისერით გაიქცა. ჯარი რევოლუციონერთა მხარეზეა. უჩანს და ხანკოუს შუა მდინარეზე სამხედრო გემები სდგას—ორი ინგლისისა, ერთი—ამერიკისა. იაპონიის სამგზავრო გემი მზადაა უცხოელთა ქალებისა და ბავშვების წასაყვანად.

**ხანკოუ.** ქუბეის მილიციის გენერლის ბრძანება გამოვიდა, ჩინელებს მანჯურთა დინასტიის განდევნა უნდათო. სამხედრო წესები გამოაცხადეს. ვინც მანჯურებს დაეხმარება, უცხოელთ რამეს დაუშავებს და საზოგადოდ წესიერებას დაარღვევს, სიკვდილით დასჯა ელის.

ჩინეთის სამი სამხედრო გემი მიდი-მოდის.

**პეკინი.** უჩინში რევოლუციონერთა დაპატიმრებისა და დასჯისათვის ვიცე-კოროლის უმაღლესად მადლობა გამოეცხადა. ოფიციალური ცნობაა, 27 სექტემბერს, ღამე, უჩანი რევოლუციონერებმა და აჯანყებულმა ჯარმა დაიჭირაო. ვიცე-კოროლი ჩინეთის ნაღმოსნით გაიქცა. ახალი ცნობებია, აჯანყებულთ ქალაქი ძიადინფუ აიღეს, მთავრობის წარმომადგენელნი დაატყვევეს, უცხოელებს კი მზრუნველობითა და ყურადღებით ეკიდებიანო.

# იტალიისა და ოსმალეთის ომი

### დეპეშები

28 სექტემბერი.

**სტამბოლი.** სამხედრო სასამართლომ შეაჩერა გაზეთი „თიურკი“.

პორტას დერნიდან ატყობინებენ, ქალაქი თითქმის სულ დანგრეულიაო. სხვათა შორის ჰოსპიტალიც დაანგრიესო.

**სტამბოლი.** „ერთობისა და პროგრესის“ კომიტეტის წარმომადგენელნი დიდ ვეზირთან იყვნენ და მოსთხოვეს ოსმალეთიდან იტალიელების განდევნის თაობაზე სამინისტროს გადაწყვეტილება, შეასრულეთო. ამბობენ, შუამდგომლობა არ შეიწყნარესო.

**რომი.** მთავრობამ გაიგო, ტრიპოლში მცხოვრებთ სანოვაგე შემოაკლდათო. სამხედრო ტრანსპორტი „გარირიანო“ გაგზავნა, სანოვაგით დატვირთული. გემი ტრიპოლის დღეს მივიდა.

**რომი.** მალტაში თურმე ინგლისის მთავრობის წარმომადგენლებმა ოთხდღიანი კარანტინი დააწესეს, ვითომ ხოლერის წინაამდეგ. ნამდვილად კი უნდათ იქ გაჩერების ხალისი ყველას დაუკარგონო.

მეორე ჯარის რეზერვს შეადგენს 28,000 კაცი, რომელიც უმთავრესად სირაკუზში იქნება და ბრძანებას მოუცდის.

უცხოელ კორესპონდენტთა უმრავლესობა ნეაპოლშია. შინაგან საქმეთა მინისტრს „პეტერბურგის სააგენტოს“ კორესპონდენტისთვის უთქვამს, კორესპონდენტების სამხედრო გემებზე მიღების თაობაზე ცნობები არ არისო. ომში ზოგიერთი დაქირავებულ გემით წასულა.

**რომი.** ზღვაზე, იტალიის საზღვრებში, ოსმალეთის ორი იალქნიანი გემი დაიჭირეს. რადგან საერთაშორისო საპრიზო სასამართლოსათვის გარდასაცემად საბაბი არ იყო, ორივე გაანთავისუფლეს.

**ათინა.** ოსმალეთის წარმომადგენელმა გრიცარისს შეატყობინა, ჯარის თავის მოყრა იტალიელებს შეეხება და საბერძნეთთან კავშირი არა აქვსო.

**ტრიპოლი.** 27 სექტემბერს, საღამოს, იტალიელთა სადარაჯოს ვიომილიანის ქვეშთან, ოსმალონი დაეცნენ. რამდენიმე საათის განმავლობაში სროლა არ შეწყვეტილა, დამცემნი უკუქცეულ იქმნენ. მათ რამდენიმე დაჭრილ-დახოცილი და თოფები დასტოვეს. დატყვევებულ ოსმალოს სიტყვით, დამცემი 300 კაცი ყოფილა. ბრძოლაში იტალიის გემების არტილერიამაც მიიღო მონაწილეობა. დილით გამოირკვა, რომ მთელი მიდამო ცალიერია.

**მალტა.** აქ გაიარა ტრიპოლიში მიმავალმა იტალიის 3 ჯავშნოსანმა კრეისერმა, 8 ნაღმოსანმა და 19 სატრანსპორტო გემმა.

**სოფია.** ბულგარეთის სააგენტო გადაჭრით უარჰყოფს, ვითომც ბულგარეთში ჯარის მობილიზაცია იყოს გამოცხადებული. ეს ხმა ოტომანის სა-

---

გადმოცემული. ავტორი ხედავს სიმინდის მთოხნელს და ფიქრობს: „მუდამ ბუნებას ჩაჰყურებს, მუდამ შრომაშია, იცის, რა არის ბუნება, რა არის შრომა? იცის, რა ვანნები აქვს ბუნებას? ჰფიქრობს იმას, რომ ადამიანმა ეს კანონები დაასახიჩრა, დაიმონავა? ესმის, რად სთხოვენ ღალას, რად ატანენ ძალას, რომ თავის ნაშრომი გაუყოს სხვასაც? ჰფიქრობს ყველა ამას და დროს უცდის, რომ ხმა აიმაღლოს, თუ ესეც, როგორც თვით ბუნება, ძლიერია, დიადი, მაგრამ უსიტყვო, ამაყი, ანგარიშ მიუცემელი? ავტორი „იჯდა, შესცქეროდა და ფიქრობდა“... უსიცოცხლო თვალი არას გამოჰხატავდა. ვერ მიხვდებოდი, გულში რა ჰქონდა: მწუხარება, თუ სიხარული. ატყობდა მხოლოდ, სცხელოდა, ძალიან სცხელოდა, მაგრამ შეუსვენებლივ მუშობდა და რაკი ვერაფრით გაუგო გულის პასუხი მთოხნელს, ავტორი გაბრაზდა და პირუტყვად დასახა იგი. მაგრამ ერთის წუთის შემდეგ „სიცხისა და დაღლილობის დამავიწყებელმა, მხიარულმა მუშურმა“ სულ გადაუყარა გულიდან გაბოროტება და მისი გული სიბრალულით აღავსო ამ მრავალ-ტანჯულ, ღრმა საიდუმლო ფიქრებით მოცულ არსებისადმი. გაიარა კიდევ რამდენიმე წუთმა. მწერალს წარმოუდგა თავისი ტანჯვა „გამოურკვეველ ფიქრისაგან“, შეადარა აზრში ეს ტანჯვა მთოხნელის ტანჯვას, რომლის ერთად-ერთი მიზეზი მზე და მისგან გამოწვეული სიცხე იყო, შედარებამ, რასაკვირველია, იმ დასკვნამდის მიიყვანა, რომ ამ ორში ის უფრო ბედნიერია, რომელიც გარეგნულად იტანჯება. ეს ტანჯვა რამდენიმე საათის შემდეგ გაივლის: მზე გადაიხრება, წავა სახლში, ძალზე გამძღებს მშიერ მუცელს, უდარდელად გაგორდება ტახტზედ და ტკბილად დაიძინებს. ტანჯვა მწერლისა კი თითქმის სამარადისოა, იმ უცნაურის ცხოვრების შედეგი, სადაც ორ ძმას ერთი მეორის არა გაეგებათ, ერთმანეთისათვის ისეთივე უცხონი არიან, როგორც პირუტყვი და მეტყველი, როგორც ლაბა და პოეტი („გუთნის დედა“, ილია ჭავჭავაძისა). მაგრამ კიდევ ერთი წუთი. მწერალი კიდევ ერთხელ შეხედავს მთოხნელის „წამწხრილ ზურგს, გაოფლიანებულ პერანგს, მზეს, არე-მარეს და წამოიძახებს: „საბრალო“!

ძალიან მოხდენილად აქვს ბ. ყიფიანს დასურათებული ეს სხვადასხვა გვარი წყობილება გონების წარმომადგენლისა სხვადასხვა მომენტში დღეველივე განწყობილების და მისგან შექმნილის აზრს მთოხნელის შესახებ თავისი საფუძველი და აზრი აქვს.

მართლაც, პირუტყვად უნდა ჩაითვალოს მთოხნელი, რომელიც ერთხელ არ დაუკვირდება თავისს მდგომარეობას, ბუნების კანონებს და საზოგადოებრივ წესს, რომელიც მას სხვის ხელების ყურმოჭრილ მონად ჰხდის. საბრალოა იგი, თუ მისი აზრი გარკვეულის ფიქრით მოცულია და უნდა ბრძოლა, მაგრამ არა გაუდის რა. ერთგვარად გმირიც არის, თუ მისს სინიდისს აწუხებს რა და ქვეყნის წინაშე ხდილი ვალი მას ჰქმნის ქვეყნის მონად, რომლის წინაშე ერთ დღესაც სინანულით მივა და ბოდიშს მოითხოვს მისგან. დღევანდელ ჭებში კი იგი საბრალოა, ვინც დიდმა ძალმა და ენერგიამ, რაც მან დახარჯა, სისხლი, რაც მან დაანთხია, ტყუილად რა და ვერავითარ ნაყოფს ვერ ხედავს მისგან.

თუ ამგვარი მისი სოციალური მდგომარეობა არსება ვით ბუნების ნაწილი მართლაც „ძლიერია და დიადი, როგორც თვით ბუნება“. გამოუცნობელის ძალით არის შემოსილი, ვით იგი ბუნება, რომლის შესახებ ავტორი გვეუბნება, რომ იქ „ყველაფერი ცოცხლობდა, ყვაოდა. საიდუმლო უხილავი შრომა გაჩაღებულ-გახურებულიყო, უანგარო ბუნება არავის ამჩნევდა, არ მსჯელობდა, არავის არაფრად აგდებდა, თავის საქმეს ასრულებდა და აი ამ ბუმბერაზულ დიად ძალას თითქო შველოდა და მის აუარებელ და მრავალ-კეც საქმეში თითქო მონაწილეობას იღებდა მტვერი მისი—ადამიანი“.

საინტერესოა ავტორის შეხედულება ბუნების შესახებაც, ბუნება მისთვის წარმოადგენს „ბუმბერაზულ დიად ძალას, რომელსაც საიდუმლო უხილავი შრომა გაჩაღებულ-გახურებული აქვს“ „ბუნების დიადი ძალა ნათელია“ ავტორისათვის (ზევით ამოწერილი), „მისი შეუდარებელი ენერგია ცხადია სუსტის ადამიანისათვის. თანაც ბუნება „უანგაროა, არავის ამჩნევს, არ მსჯელობს, არავის არაფრად აგდებს, თავისს საქმეს ასრულებს“, თუ ადამიანის სუსტი სხეული ბუნების ძალასა გრძნობს“, ეს ბუნების სურვილის და მიდრეკილების დამოუკიდებლად. ბუნება არავის არაფრად აგდებს, არა მსჯელობს იგი ერთნაირად ეპყრობა მრუდესა და მართალს, ყველას შეუძლიან ისარგებლოს მისი ძალით, რამდენიც უნდა და რამდენადაც შეუძლიან. თვით კი არავის დახმარებას არ გაუწევსო.—იგი „უანგაროა“ მაშასადამე მიუდგომელი, გულგრილი მაყურებელი მსოფლიოს და ადამიანის ცხოვრებისა, სრული ინდიფერენტიზმით აღჭურვილი.

ჩვენ აღარ შევუდგებით სხვა მოთხრობების გარჩევას. გვგონია, საკმაოდ აღვნიშნეთ ბ. სვ. ყიფიანის მწერლობის კილო. უკანასკნელი სამი მოთხრობა გვაძლევს იმედს, რომ ბ. სვ. ყიფიანი შეგირდულ ცდას თავს დაანებებს და თან და თან ეცდება მთლიანი, განუწყვეტელი განწყობილება გადმოგვცეს ანუ ერთის დაფარულის აზრის გამომხატველი ნაწყვეტები ძველი მანერა მოწყვეტისა ამ სამ მოთხრობაშიაც სჩანს. პირველში მან ვერ გვაგრძნობინა მთელი ძალი და სიცხოველე სიყვარულისა, მეორეში პუბლიცისტიკამ გადააჭარბა. მესამეში („სიმინდის მთოხნელი“) კიდევ პუბლიცისტიკასა აქვს ადგილი, თუმცა ისე ძლიერად არა, როგორც „ირემსა და ხარში“, და აქ უფრო ნათლად არის ერთი, მთლიანი განწყობილება გადმოცემული. უფრო ხელოვნების შესაფერისი იქმნებოდა, რომ მთოხნელის იმ ბუნებას დასწოლოდა და ხაზი გაესვა, რომელიც მისივე სიტყვით „როგორც თვით ბუნება ძლიერია, დიადი, მაგრამ უსიტყვო, ამაყი, ანგარიშ-მიუცემელი“.

ამის გამო მთელი წიგნაკი უფრო ცდას მიაგავს, ვიდრე დამთავრებულ ხელოვნის შექმნილს. ხოლო ცდა კი, ვიმეორებ, იმგვარია, რომ იმედს გვიბადებს ბ. სვ. ყიფიანი დახელოვნებულ მწერლად გადიქცევა, თუ შრომას და მუყაითობას არ დასტოვებს. მისი „ნიჭი დაკვირვებისა და მგრძნობელობისა“, მოგახსენეთ, დიდი ხნიდან ცნობილია და ჩვენც სიამოვნებით აღვნიშნავთ მას.

ბოლოს წიგნის გარეგან მხარეს უნდა გავუკეთოთ საზოგადო შენიშვნა: საჭიროა, ჩვენმა მწერლებმა ჩვეულებად მიიღონ, რომ თავიანთ თხზულებებს თარიღი გაუკეთონ ეს აუცილებელია იმის გამოსარკვევად, თუ როგორ მიმდინარეობს განვითარება ავტორის ნიჭისა. ბ. სვ. ყიფიანის თხზულებათა ამ გამოცემის მიხედვით გამოდის, რომ ბ. ყიფიანმა თავისი საუკეთესო მოთხრობები უფრო ადრე დასწერა, ვიდრე უარესი. ამას მიხედვით, კაცს შეუძლიან იფიქროს მწერლის ნიჭი დაქვეითების გზას ადგია, რაც სრულიად წინაამდეგი იქნება სინამდვილისა.

წიგნაკს ამჩნევია „შეზღუდვითი სიტყვის თავისუფლების“ დაღი. მთელი ერთი მოთხრობა ამოჭრილია.

კიტა აბაშიძე.

მხედრო სამინისტროს გავრცელებულია. ამ ამბის სიცრუე სოფიაში მყოფმა ოსმალეთის მისიამაც იცის, და სტამბოლშიაც იციანო. ამ ხმის გავრცელება ოსმალეთს ადრიანოპოლში საომრად სამზადისის გასამართლებლად დასჭირდაო.

**რომი.** „კორიერე დელა-სერას" ტრიპოლიდან ატყობინებენ, 24 სექტემბერს ოსმალეთის უკან დახევა უწესრიგო გაქცევას უფრო ჰგავდაო. ურმები და ზარბაზნები ბანაკში დასტოვეს. ოსმალებს სანოვაგე მხოლოდ 20 დღეს ეყოფა, სათადარიგო შოვნა გაძნელებულია. ტრიპოლიში დარჩენილმა ოსმალეთის ზოგიერთმა აფიცერმა იტალიის მთავრობას შეაფარა თავი.

**გ ა ზ ე თ ე ბ ი დ ა ნ**

**იტალიის პირობა.**

იტალიის ელჩს-ტიტტონის—გერმანიის ელჩ შენთან—ულაპარაკნია. ამ ლაპარაკით გამოირკვა, რომ იტალია თავის დღეში ზავზე ლაპარაკს არ ჩამოაგდებს, თუ ოსმალეთმა ტრიპოლის სუვერენიტეტი დაჟინებით მოითხოვაო.

„ცაიტის" რომის კორესპონდენტი ფოსტით იუწყება (მისი დეპეშა დაიჭირეს), იტალია ტრიპოლის ოკუპაციასა და სრულ ანექსიას მოითხოვს დაჟინებითაო.

ოსმალეთის სუვერენიტეტსა და ფულის გადებასაც იტალია უარჰყოფს.

**რუსეთის შუამავლობა.**

ჰფიქრობენ, იტალიისა და ოსმალეთის უთანხმოების მოსასპობად საქმეში რუსეთი ჩაერევა და შუამავლობას იკისრებსო. ამ საკითხის თაობაზე პეტერბურგსა და სტამბოლს მოლაპარაკება აქვთო.

**ოსმალეთის შეფიქრიანება**

ბერლინში შემდეგი დეპეშა მიუღიათ: ტრიპოლის (არაბები იტალიელებს სიხარულით მიეგებნენ; ამ ამბავმა პორტა ძალიან დაადონა. სადაა არის ბრძოლის სურვილი? საქმეს ამწვავებს კაბინეტში არსებული უთანხმოება. ჰფიქრობენ, მდგომარეობა უიმედოა და ზავის ჩამოგდება უეჭველიაო. პორტა და ახალგაზრდა ოსმალთა კომიტეტები ერთმანეთს ალმაცერად უყურებენ. გზა-კვალ აბნეული მთავრობა ხან ერთს ფანტასტიურ გეგმას ეჭიდება, ხან მეორესა და ხსნას ბალკანეთის საკითხის თაობაზე საერთაშორისო კონფერენციის მოწვევაში ჰხედავს. ბერლინის წრეები არსებითად ამისი წინააღმდეგნი, რადგანაც ამ კონფერენციას სხვა სახელმწიფოთა შორის უთანხმოების გამოწვევა შეუძლიანო. გერმანიისა და ავსტრიის ელჩები—მარშალ-ფონ-ბიბერშტეინი და მარკიზ პალავიჩინი ოსმალეთს ზავს ურჩევენ. იტალიას ჯერ სულ არ დაუპყრია ტრიპოლი და ძნელი არ იქნება გამოსყიდვაზე დასთანხმდესო.

**ალბანეთში.**

სკუტარიდგან დეპეშით იტყობინებიან: ალბანელები კვლავ აჯანყდნენ. შეიარაღებული ხალხი მალესიის ქალაქებში გროვდებაო.

საბერძნეთის გემმა „ლისასურამ" კოპრინში დიდძალი იარაღი და საომარი მასალა გადაზიდა.

# მაროკოს საქმე

**დ ე პ ე შ ე ბ ი**

**პარიზი.** მინისტრთა საბჭოს მსჯელობა ჰქონდა, რა შეიძლება დავუთმოთ გერმანიას მაროკოში მოქმედების თავისუფლების მონიჭების სამაგიეროდო. ბჭობის შედეგი დიდ საიდუმლოებადაა აღიარებული. საპოლიტიკო წრეებში ჰფიქრობენ, შეთანხმება ჩქარა მოჰხდებაო.

**ბერლინი.** საფრანგეთ-გერმანიის ხელშეკრულების იმ ნაწილის რედაქცია, რომელიც მაროკოს ეხება, საბოლოოდ გამოირკვიეს. დღეანს მოლაპარაკებაში მონაწილეთა გვარის ინიციალები მოაწერეს. კომპენსაციის თაობაზე მოლაპარაკება განახლდა.

# დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

28 სექტემბერი.

**ს ა ზ ღ ვ ა რ - გ ა რ ე დ**

**ბერლინი.** გაჭრობის მინისტრმა დელბრუკმა ქსოვილისა და ბამბეულის საერთაშორისო კავშირის კომიტეტი მიიღო. დელბრუკმა აღნიშნა—მეგნების ასოციაცია იმიტომ გაიზარდა, რომ ამ წარმოებაში მონაწილე ერებს საერთო ინტერესები აქვთო. კომიტეტის სახელით სერ ჩარლზ მაკარამ მინისტრს კარგად მიღებისათვის მადლობა გადაუხადა.

**ბერლინი.** გერმანიის ფლოტენფერეინის იდის განყოფილების კრებამ, რომელშიაც მონაწილეობას 2000 კაცი იღებდა, კანცლერს დეპეშით მიჰმართა, სახელმწიფოთა ახლანდელი განწყობილება გერმანიისთვის საშიშიაო. კრება დაბეჯითებით მოითხოვს გერმანიის ფლოტის გაძლიერების დაჩქარებას და წინადადებას იძლევა, შესაფერი პროექტი შეიტანეთ სადაც ჯერ არს, 1912 წლის ხარჯ-აღრიცხვის ნუ დაუცდითო.

**ლონდონი.** მთავრობამ მუშათა და მწარმოებელთაგან სავაჭრო საბჭო დაარსა, რომელიც სადაო საკითხებს განიხილავს. საბჭოს გადაწყვეტილება სავალდებულო არ არის. საბჭოს შეადგენს: ექვს-ექვსი მუშათა, მწარმოებელთა და რკინის გზის რამდენიმე წარმომადგენელი.

**კანეა.** წარმომადგენელთა კრებას ცხარე ხასიათი ჰქონდა. სამინისტროს 16 მომხრე ოპოზიციისკენ გადავიდა.

**ვენა.** ოთხის დღის აქ ყოფნის შემდეგ ბულგარეთის მინისტრ-პრეზიდენტი სოფიას წავიდა.

**ბუქარესტი.** რუმინიის სააგენტო გადაჭრით ამბობს, ტყუილია ბერლინში გავრცელებული ხმა, ვითომც რუმინიას ჯარის მობილიზაცია გამოეცხადებინოსო.

**მონტევიდეო.** პარლამენტმა ერთხმად მიიღო დაზღვევის საქმის სახელმწიფოს ხელში გადასვლის კანონ-პროექტი.

**მანჩესტერი.** ინგლის-ამერიკის ნავთის მრეწველთა ამხანაგობაში სანათნო არხის ახლო, ცეცხლი გაჩნდა. იგი მთელს შენობას მოედო და ნავთსადგურზედაც გადავიდა. სამი საათის შემდეგ ცეცხლი ჩააქრეს. ზარალი—30000 გირვანქა სტერლინგი.

**ვენა.** ქალაქის კავშირის ჩეხურ სკოლათა დაკეტვის თაობაზე დეპუტატთა პალატაში შეკითხვა შეიტანეს. მინისტრ პრეზიდენტმა განაცხადა, ვენაში ჩეხებს ნება არა აქვთ საზოგადო ხარჯით სკოლები იქონიონ და ამიტომ მათი დაკეტვა სრულიად კანონიერიაო. კერძო სკოლების დაარსებას მთავრობაც დაეხმარებაო.

**კანეა.** პეტერბურგის სააგენტოს კორესპონდენტი უარჰყოფს კრიტეს ხალხის წარმომადგენელთა კრების თაობაზე ვენაში გავრცელებულ ხმებს. თანაც დასძენს: კრების საქმე მხოლოდ ფორმალურად გახსნას ეხებოდა და არაფერი გადაუწყვეტიათ; მაჰმადიანი დეპუტატებიც იყვნენ და ოპოზიციაც.

**რ უ ს ე თ ი.**

**კრონშტადი.** სამხედრო სასამართლომ გემთ-ამგებ ქარხნის ხაზინადრის დობროვის და ბუღალტრის მატვეევის საქმე გაარჩია. პირველს 15,000 მანეთის გაფლანგვას აბრალებდნენ, მეორეს—რატომ მთავრობას არ შეატყობინე ეს ამბავიო. სასამართლომ დობროვს გამოსწორებული რაზმში 18 თვით გაგზავნა მიუსაჯა, მატვეევი გაამართლა, დობროვმა განაჩენი რომ მოისმინა, მარცხენა ფერდში მძიმედ დაიჭრა თავი.

**პეტერბურგი.** უადადა დააპყრ გაზ. „რეჩის" 28 სექტემბრის ნომერს. რედაქტორი სამართალში მისცეს 74 მუხლის პირველი პუნქტის ძალით.

**ლუცკი.** სოფელ გოლომბში 185 სახლი დაიწვა. ზარალი 300,000 მანეთია. გლეხები გაჭირვებულნი არიან.

**ნოვოჩერკასკი.** საოლქო საერობო კომიტეტმა გადასწყვიტა 1812 წლის აღსანიშნავად ნოვოჩერკასკში ხაზინის ხარჯით უნივერსიტეტის გახსნა ითხოვოს. ეს სამაგიერო იქნება 1812 წლის დონის კაზაკების მიერ გამოჩენილ ერთგულებისა. რადგან ხაზინიდან ფულის გადება შეუძლებელია, დაადგინეს, ერობამ ამ საქმისათვის ერთ მილიონ მანეთამდე გადასდოს.

# თეატრი და ხელოვნება

**ქუთაისი.** 25 სექტემბერს ადგილობრივმა დრამატიულმა დასმა წარმოადგინა ჯიაკომეტის ხუთმოქმედებიანი ისტორიული ტრაგედია ებრაელთა ცხოვრებიდან „ივდითი", რომელმაც თეატრში დიდძალი საზოგადოება მოუყარა თავი. გაჭედილი იყო განსაკუთრებით ქანდარა. წარმოდგენამ, მიუხედავათ ხელის შემშლელი პირობებისა, რომელიც შექმნა ქანდარამ, მწყობრად ჩაიარა. მსახიობთ ეტყობოდათ მომზადება და როლების შეგნებულად შესწავლა. მშვენიერი იყო ნინო ჩხეიძის ასული ივდითის როლში, განსაკუთრებით მეორე მოქმედებაში, რამდენი ტანჯვა, სულის კვეთება, თავის თავთან ბრძოლა ეხატებოდა მის სახეზე, თვალებსა და ხმაში იმ კითხვის გადაწყვეტის დროს, ეახლოს ბანაკში გამხეცებულს ოლომფერნეს, თუ არა. არ შეგვიძლიან არ აღვნიშნოთ, რომ თეთრი ფეხსაცმელები რაღაც ლაქასავით აჩნდა შავად მოსილ სურათს.

მოხდენილად შეასრულა მღვდელმთავრის ელიაქიმის როლი ბ-ნმა ზ. რადალიშვილმა. იყო წამი, როდესაც მისმა გრძნობიერმა თამაშმა ისეთი შთაბეჭდილება მოახდინა, რომ ტანში ჟრუანტელმა გაგვიარა.

კარგი ოლოფერნე იყო ბ-ნი იმედაშვილი, მხოლოდ ხანდახან ძლიერ აჭარბებდა და ქანდარაზე უადგილო სიცილს იწვევდა.

ბ-ნი კორიშელი რიხიანი იოზია იყო პირველ მოქმედებაში, უკანასკნელში კი რაღაც მიდუნდა, თითქო დაიღალაო.

ქ-ნი ლოლობერიძის ასული ერთობ ახალგაზდურად დადიოდა სცენაზე.

ანტრაქტები გრძელი იყო.

აქ არ შეგვიძლია არ აღვნიშნოთ, რომ ამ წარმოდგენაზე ქანდარას მეტის მეტი თავდაუჭერლობა ეტყობოდა: ხმაურობა, ლაპარაკი, უადგილო სიცილ-ხარხარი პროტესტს იწვევდა საზოგადოებაში, რაც პიესის მოსმენას ხელს უშლიდა. ერთს მანდილოსანს პატარა ბავშვი მოეყვანა თეატრში, რომელიც სულ სტიროდა და მსახიობთ თამაშს აწყვეტინებდა. ნუ თუ ამ მანდილოსანს არ გაეგება, რომ თეატრი ძუძუმწოვარა ბავშვების გასართობი არაა?! თავის ბავშვი მაინც შეიბრალოს, თუ საზოგადოების შებრალება და მორიდება არა აქვს. რამდენიმე ახალგაზდა მთვრალი მოსულიყვნენ თეატრში და მათს ლაზღანდარობას საზღვარი არა ჰქონდა.

მაგრამ ერთმა ახალგაზდამ (მგონი, მოწაფემ) ყველას გადააჭარბა, მას ყალბი კონტრამარკით ჰსურდა თეატრში შესვლა. როდესაც მეკარემ შეაჩერა და თეატრში არ შეუშვა, შეურაცხყოფილად იცნო თავი და ჩხუბი გაუმართა მეკარეს. ჩხუბის დროს მოვარდა ყაზახი, რომელმაც სულ გვერდები დაუჭრელა მათრახით მოძალე სტუმარს. მაშინ კი იკადრა გაქცევა. როგორც ჩამორთმეულ კონტრამარკიდან სჩანს, ყმაწვილს გაკეთებული ჰქონია კონტრამარკების საბეჭდი გუტაპერჩის ბეჭედი.

—

**მსახიობი ელ. ანდრონიკაშვილის** ასული თარგმნის ცნობილ ანრი ბერნშტეინის სენსაციურს პიესას—„Apres-moi" „ჩემს შემდეგ". ეს პიესა ყველა პარიზის თეატრებში წარმოადგინეს და წრევანდელ სეზონში საფრანგეთისა და რუსეთის საუკეთესო თეატრების სარეპერტუარო პიესათ ჩაირიცხა.

# ღია წერილი

**მარელისის სადგურის უფროსს ბ-ნ ქუმსიევისადმი.**

მ. ხ.

პირველ ამა ენკენისთვიდან მე გამოვიწერე გაზეთები თქვენდამი რწმუნებულ სადგურის ადრესით. გაზეთები რედაქციებიდან, ჩვეულებრივად, წესიერად იგზავნება, რასაც, სხვათა შორის, მოწმობს ის ფაქტი, რომ, როდესაც პირადად მე დავხვდი „მატარებლებს, ყოველთვის მივიღე ყველა ნომრები.

მაგრამ ძალიან ხშირად იკარგება გაზეთები თქვენს სადგურზე. მაგ., გაზეთი „კოლხიდა" პირველ ენკენისთვიდან დღემდე მხოლოდ სამი ნომერი ძლივს მივიღე. „სახალხო გაზეთი"-ს ნომრებიც ბევრი დაიკარგა. ამ გარემოების შესახებ მე თქვენ პირადათ მოგმართეთ 24 ამა ენკენისთვეს, შაბათს დღით, და გთხოვეთ, მოგეხდინათ განკარგულება, რომ გაზეთები არ დაკარგულიყო. თქვენ ჩემი სამართლიანი თხოვნა საწყენად დაგრჩათ და გაჯავრებით მიპასუხეთ, რომ ქართული გაზეთები სად დაიკარგება, რედაქციებიდან არ იგზავნება, თორემ მე ხომ ქართულ გაზეთს არ წავიკითხავ და არც არასოდეს წამიკითხავს! თუ გულს გაკლიათ იჩივლეთ სადაც გნებავთ და პასუხს მოგცემთო. საჩივრების დრო და ხალისი ჩვენ არა გვაქვს, მხოლოდ კიდევ მოგმართავთ თხოვნით, მიაქციეთ ყურადღება თქვენს სადგურზე მოსულ კორესპონდენციებს და მით საშუალება მოგვეცით, გონების საზრდოს მიღებისა და წაკითხვისა. კორესპონდენციები რომ არ დაიკარგოს, თქვენ უნდა დაავალოთ რომელიმე თქვენს თანაშემწეს, ან ტელეგრაფისტს, ან თვითონ თქვენ ივისროთ, რომ მან მიიღოს და შეინახოს შკაფში, სანამ პატრონი მოიკითხავდეს, ან მის მიერ გამოგზავნილი პირი. დღეს ეს ასე არ ხდება თქვენს სადგურზე. ღებულობს მოსამსახურე, რომელმაც კითხვაც კი არ იცის და ვინც მოსთხოვს, იმას მიაქვს კორესპონდენცია. რაც დარჩება უპატრონოდ ჰყრია თქვენი კანტორის ფანჯრის ქვედა ფიცარზე, რომლის კარები ყველასათვის ღიაა. აი, ეს გახლავთ მიზეზი თქვენ სადგურზე კორესპონდენციების ხშირად დაკარგვისა, რომლის მსგავს ჯერ ჩვენ არც კი შევხვედრივართ, და არა ის, რომ რედაქციებიდან არ იგზავნებოდ.

მიიღეთ ჩვენი პატივისცემა

**მასწ. მიხ. ღვანთაძე**

# წერილი რედ. მიმართ

ბ. რედაქტორო! ნება მიბოძეთ თქვენი გაზეთის საშუალებით მადლობა გამოვუცხადო ტფილისის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლს თავად პავლე იოსების ძე თუმანიშვილს, რომელმაც შემოსწირა საჩხერის საქალებო სკოლის მოწაფეებს 25 მანეთი.

სკოლის მზრუნველი

**კნეინა ელისაბედ წერეთლისა.**

# გამოსადეგი ცნობა

**ნ ი ხ რ ი**

**ეტლებით დღე და ღამე მიმოსვლა**

(მეეტლეებთან მოურიგებლად).

| | | |
|---|---|---|
| 1. | ქალაქში ერთ ადგილამდე . . . | 40 კ. |
| 2. | ქალაქიდან განაპირებში ნავთლუღი, დიდუბე, ნაძალად., ბოტ. ბაღ, აგრეთვე ვერის ბაღებში და უკან | 70 „ |
| 3. | ვაგზლიდან ქალაქში . . . | 70 „ |
| 4. | ვაგზლიდან განაპირებში | 1 მ. — |
| 5. | ვაგზ.-დან ნაძალად და დიდუბე | 40 „ |
| 6. | ქალაქიდან ვაგზლამდე და ყველა სასაფლაოებამდე . . . | 50 „ |
| 7. | მე-16-ე მინგრელის პოლკის ბანაკამდე და აგრეთვე უკან | 80 „ |
| 8. | ქალაქიდან ქალაქის სამურნალომდე აგლაზარში . . . | 50 „ |
| 9. | ფუნიკულერის სადგურამდე | 50 „ |
| 10. | იქიდან უკან დაბრუნება . | 40 „ |

# განცხადებანი


## დოქტ. ნავასარდიასა

უოველ დღე, კვირეებს გ[illegible]

დაარსებულია 1880 წელს

(ვორონცოვის ძეგლის პირდ.)

**დ ი ლ ი თ:**

**ბ. ა. ნავასარდიანი:** 11—1 ქირურგიული, ვენერიული (სიფილისი).

**უ. მ. ჩიქოვანი:** 9½—10 ვალისა, შინაგანი და ნერვებისა,

**ზ. ი. ბაბანახოვი:** 10—1 ბავშვით, ქალებისა და ბავშვებისა.

**ნ. ტ. მუდლინი:** 10—12 ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

**მ. გ. ავეტისიანცი:** 11—1 კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. დაურგ.

**ა. მ. პუგინოვი.** 12—1 შინაგანი, ბავშვებისადა ყვავილის აც[illegible]

**ქალ. ექიმ. ბ. ს. ბერშაცი:** 12 ნახ.—1 ს. საშვ., ქალ ბავშვებისა.

**გ. ი. გურგენოვი:** 1—[illegible] ს. საშვებით, ქალებისა და ბავშვ.

**ა. პ. კარაპეტიანცი:** 1/[illegible] ს. შინაგან. და საბავშვო.

**ბ. გ. ავახაროვი:** [illegible] ს. შინაგანი ბავშვთა ავად.

**ს ა ღ ა მ ო თ:**

**ქალ.ექ. პ. ს. შილბერ:** 6—6 ნახ.-ს. საშვ., ქალ. და ბავშ.

**მ. გ. ავეტისიანცი:** საათ.

11—12 ს. **60** ამლოვა, კონსულტაციად.

რჩევა 50 კ. ღარიბებსად, კონსულტაციები და ოპერაციები თანხმებით სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი ბ. ნავასარდიანი.

(1168—144)

## ექიმი ა. ნ. დიასამიძე

კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—ს. საღამ. 6—7 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავად. მყოფებს არ იღებს. მოხვეწის ქ. № ბაზლი გაბაშვილისა

# ქირავდება

**კარგ ქართველ ოჯახში**

სუფთა, ნათელი და ფართე ოთახი მოწყობილობით, განათება-გათბობით.

გუნიბის ქუჩა (ვერაზე), № 45.

(5—1)

**სამკურნალო კაბინეტი**

## ექიმ პ. ს. ფონ-ირტელისა

(ელისაბედის ქ., № 17, ცერკოვნი მისახვევის პირდაპირ).

სპეციალისტი—ქირურგი (სიმსივნისა), საშარდე ბუშტისა, მილისა, თირკმელებისა და სასქესო ორგანოთა (უღონობა, ნერვიული სისუსტე, ჩუკუნების შედეგი), ათაშანგისა და მის შედეგთა,

(ერლიხის „606"-ის სმარებით და ბერლინის კლინიკათა სხვა საშუალებით), ვენერიულ ავადმყოფობათა (სუსუნატისა და მილის დავიწროვების წამლობა), კანის სნეულებათა წამლობა ელექტრონით და ოპერაციები.

ავადმყოფთა მიღება დილის 9—12 საათამდე და საღამოს 5—8 ნახ. საათამდე. ქალთათვის ნაშუადღევის 2—3 საათამდე.

(25.1505.13)

## ექიმი ზ. ა. მიქაძე

იღებს შინაგან და [illegible] სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ.—6 ნახ. საათამდე.

## გამოცდილი მასწავლებელი

ჩვეულებრივად წელსაც გააგრძელებს მეცადინეობას [illegible] ქალ-ვაჟებთან. ამზადებს [illegible] საშუალო და დაბალ სასწავლებლებისათვის შემდეგ პირობებით: სასულიერო სემინარიისთვის, გიმნაზიისთვის, რეალურ, საევაჭრო სასწავლებლისთვის, სატექნიკო, სამეურნეო, სამოქალაქო და სასულიერო სასწავლებლებისა [illegible] ვე საბებიო ინსტიტუტისათვის, ერთ და ორ კლასიან [illegible] სარისხზე. ყველა კლასის [illegible] ღებულობს ანბანის უცოდინარ [illegible] ვაჟებსაც. მეცადინეობა ჩვეულებრივად იქნება სამ ალაგას: 1) ვორონცოვის ძეგლის მახლობლად, 2) ვერაზე, 3) ვაგზალზე. მონაწილეობას მიიღებენ მასწავლებლები მცოდნენი სხვა და სხვა ენებისა და საგნებისა. მეცადინეობა დაიწყება დილის 8 საათზე და გაგრძელდება საღამოს 8 საათამდე. მსურველ მოწაფეებს არა უფროს 15 წლისა, მიიღებენ სრულ ხარჯზედაც, პანსიონში. მოლაპარაკება მასწავლებელთან შეიძლება ყოველ-დღე, სანამ შევსებულ აღნიშნული რიცხვი მოწაფეებისა.

სიმონოვის ქუჩა, № 23, ქვემო სართულში. შესასვლელი მთავარ-კარებიდან, ქვემო ზარი, და ვორონცოვის ძეგლის მახლობლად.

(თ.—1084—40)




# გამოვიდა და იყიდება თხზულებანი:

| | | |
|---|---|---|
| არჩილ ჯორჯაძისა: | წ. I. „ეროვნულ პრობლემის გარშემო", | ფ. 75 კ. |
| „ „ | წ. II. „ჩვენი საზოგადოებრივობა". . . | ფ. 80 კ. |
| „ „ | წ. III. „ნაშრომი" . . . . . . . | ფ. 65 კ. |
| Bâtonn-ისა: | „ერი და კაცობრიობა" . . . . . | ფ. 1 მ. 20 კ. |
| ვ. ყიფიანისა: | «ხამგზრელის მთავარი ლეკან», ისტ. დრამა | ფ. 40 კ. |
| ნ. შიუკაშვილისა: | «მეგობრობა», 4 მოქმ. დრამა . . . . | ფ. 30 კ. |

ყველა ამ წიგნების შეძენა შეიძლება სხვათა შორის ქ. შ. წ. კ. გ. ს. წიგნის მაღაზიაში, ტფილისში და ქუთაისში კვიცარიძისა და მთავრიშვილის წიგნის მაღაზიებში.

# სალიანის თევზით მრეწველ და მოვაჭრეთ

## ძმ. ძეგველოვების

**● მ ა ღ ა ზ ი ა ●**

პუშკინის ქ., საკუთარი სახლი, № 9, ტელეფონი № 712.

**✤ ახალ-ახალი ✤**

**ოსეტრინა** (ზუთხი) **სევრიუგა** (ტარაღანა).

—◀ დ ა ო რ ა გ უ ლ ი ▶—

ყოველ დღე ცხელი **ლოში.**

◀ საუკეთესო პაიუსნი ხიზილალა გირვანქა 1 მ. 40 კ.

ახალი კეტოვი **ხიზილალა**

აგრეთვე მივიღეთ საუკეთესო ღირსების სელიოდკები სამეფო, დუნაისა, რიგისა და ქერჩისა.

(წ.—1053—)